საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 თებერვალი, 2015 წელი.

№25 (7670)

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

გაუგებარია, დინება სად, როდის და რომელ ნაპირზე გამოგვაგდებს!..

რუსეთი ყველა შემთხვევაში აფხაზეთთან და ოსეთთან ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა და მიუხედავად იმისა, შეიქმნებოდა თუ არა ვაზიანში ნატოს საწვრთნელი ბაზა, თავის კონტინგენტს აფხაზეთსა და ოსეთში გააძლიერებდა. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ „ცივი ომის“ ახალ ფაზაში ვართ და აქ საქართველომ თავისი ადგილი უნდა აირჩიოს.

4

გუგული მაღრაძე ნიკა გვარამიას სასამართლოში უჩივლებს

3

თავად დასაცინები სხვას დასცინიან?!

2

„კაცების შოუ“ კი არა, „ერთმანეთის ღუტუნი“ უნდა ერქვას

◎ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ბადრი ბიწაძისთვის ნასროლი ტალახის გამო

თქვენი გაზეთის 6 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ქალბატონ დოდო აფრასიძის განცხადება:

— „ეზოში, სადაც ჩემი შვილი მოკლეს, ჩამწკრივებული იდგნენ: ბარამიძე, ადეიშვილი, მერაბიშვილი და ბადრი ბიწაძე.“

1864 წლის ხალდეს ომის შემდეგ, სვანეთს მსგავსი უბედურება არ უნახავს, ვიდრე აფრასიძეებზე ვერაგული თავდასხმა და ოჯახის სრული ამოწყვეტაა. მე როგორც ერთი რიგითი სვანი, ყოველთვის ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, დავიცვა, როგორც საერთო ქართული ტრადიციები, ასევე ჩემი პატარა სვანეთის ინტერესები და ადათ-წესები. აქედან გამომდინარე, ბეჭდვურ თუ ელექტრონულ მედიაში ყოველთვის გამოვდიოდი, როგორც აფრასიძეების ტრაგედიაში დაზარალებული მხარე.

ღია ეთერში ეკა ხოფერიას საავტორო გადაცემაში „დიდი ათეული“ პრინციპულად დავუპირისპირდი გია ბარამიძეს და შევახსენე, რომ მას სისხლი მართებს სვანებისა და ადრე თუ გვიან, ის გასაღები ექნება. და თუ ეს დღემდე არ მოხდა, იმით არის განპირობებული, რომ ბებია ზრდის აფრასიძეების ობოლ შვილებს, რომლებმაც ბაბუისა და მამის სისხლი უნდა აიღონ. ასეთი მძიმე ტექსტებით მიდიოდა საუბარი გადაცემაში, რომელსაც მთელი საქართველო უსმენდა და უყურებდა.

თქვენს გაზეთში მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ქალბატონ დოდო აფრასიძის განცხადება, თითქოს მისი შვილის სიკვდილს — „ჩამწკრივებული ბარამიძე, ადეიშვილი, მერაბიშვილი და ბადრი ბიწაძე უყურებდნენ“ — აშკარა ფალსიფიკაცია და ცილისწამებაა. არ ვიცი, ჯგუფის სხვა წევრები რა თანამიმდევრობით იდგნენ მკვლელობის დროს, მაგრამ იმ ნაწილში, სადაც სხვისგან გამორჩეულად ბადრი ბიწაძე სახელითა და გვარით არის წარმოდგენილი, აშკარად მიანიშნებს, რომ ეს შეგნებული მცდელობაა ბურჯანაძეების ოჯახის დისკრედიტაციისა, რათა ბადრი ბიწაძისთვის ნასროლი ტალახი როგორმე მის მეუღლეს ნინო ბურჯანაძეს მოახვედრონ.



გაზეთის რედაქციას ვთხოვ, განცხადების შინაარსი გადააგზავნინონ პირველწყაროდან. მე როგორც გავარკვიე, ბადრი ბიწაძე არა თუ აფრასიძეების დაბოლოცვის მომენტში, არამედ საერთოდ არ იმყოფებოდა მაშინ სვანეთში და არც ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას.

ჩემი თხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მივმართავ ქალბატონ დოდოს და მის ოჯახს, რომ ცილისწამების მონაწილე ვერ გავხდები და მე ცალკე განცხადებით, უკან წავიღებ ყველა იმ ჩემს გამონათქვამს, აფრასიძეების ტრაგედიის გამო რომ გამომითქვამს და დამიწერია.

გრიშა ონიანი

◎ ვინ დაიცავს მეზღვაურთა უფლებებს?

7

ტრეფიკინგი ზღვაში

ირაკლი ფირცხალავას, შესაძლოა, ბრალი მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით დაუმძიმდეს

3

სასამართლომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გია სოსანაშვილს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

პროკურატურა სასამართლოსთვის მიმართული შუამდგომლობით, სოსანაშვილისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობას ითხოვდა.

პროცესს საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილი უძღვებოდა.

თავად სოსანაშვილი აცხადებს, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება აბსურდულია და მას მკვლელობა არ ჩაუდენია.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 14 წლამდე ვადით.

რას მოუტანს რეგიონს რუსეთ-თურქეთის შეთანხმება?

6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ილია მეორე:

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა, მოსახლეობა, მთელი ხალხი უძღებ შვილს ემსგავსება

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქის თქმით, დღეს ახალგაზრდობა და არა მარტო ახალგაზრდობა, მთელი ხალხი, მოსახლეობა სახარებისეულ უძღებ შვილს ემსგავსება. **„გვინდა ღვთის გარეშე, ღვთის ლოცვა-კურთხევის გარეშე შევქმნათ ჩვენი კეთილდღეობა და ეს ვერ გამოდის. ღვთის ლოცვა-კურთხევის გარეშე ადამიანი ვერაფერს მიაღწევს და ამიტომ ჩვენ უნდა განსაკუთრებული ყურადღებით ვიყოთ დღევანდელი პრობლემების წინაშე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა და ღვთის ლოცვა-კურთხევაზეა დამოკიდებული“**, – ბრძანა პატრიარქმა.

„უძღები შვილის იგავი ამავე დროს წინასწარმეტყველებაა. იგავი მეტყველებს იმის შესახებ, რომ კაცობრიობა წავა ღვთისგან, განშორდება ღმერთს, დაკარგავს სარწმუნოებას, მაგრამ ისევ მობრუნდება, ისევ შეიწყნარებს უფალი და ისევ აპატიებს მას ცოდვებს“, – ბრძანა ილია მეორემ.

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე 18 მარტს წარსდგება

– ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ **პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ** განუცხადა.

მისივე განმარტებით, თარიღთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეარჩია, პარლამენტის ხელმძღვანელობა უკვე ინფორმირებულია.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნაციონალები ჩიხში არიან, ან უნდა თქვან ოპერატიულად გაიხსნა საქმეო, ან სხვას მოვაკვლევინეთო. მაგათი მოსაწონი მკვლელი ვერ დაუჭერიათ მოკლედ, რა!

● აქ მთელი ჯაჭვი გამოიკვეთება.

პოლიტიკური თავი, საქმესთან დაკავშირებული დამნაშავეები, რომლებსაც შურისძიების მეტი აღარაფერი რჩებოდათ და უშუალო შემსრულებელი, რომელსაც მხოლოდ მერკანტელური მიზნები ამოძრავებდა.

1. „პოლიტიკური თავი“: მთავარი დამკვეთი, ანუ ის, ვისაც იური ვაზაგაშვილის მკვლელობით მთავარი მიზნის – ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის და განსაკუთრებით სოციალურად აქტიური ნაწილის ამხედრება, სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ნაწილში უიმედობის და შიშის დათესვა, საკუთარ მომხრეებში და საზოგადოების მერყეევ ნაწილში საკუთარი ძალის დემონსტრირება სურდა.

2. საქმესთან დაკავშირებული დამნაშავეები: ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგაც ამდენი წელიწადი იბრძოდა იური ვაზაგაშვილი და რომელთა დაკავებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი.

3. შემსრულებელი, რომელიც დაიქირავეს იმათ, ვინც კარგად იცნობდა ამ პიროვნებას და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს ადამიანი მკვლელობას „ხელს მოაწერდა“.

● ჩიორა, გუგული, გედი – კაროჩე რა, „რუსთავი 2“-ია თუ კაკანათი?

● ხიდაშელი რომ დაჩაგრავდა რატიანს, რად უნდა მაგას ლაპარაკი, მაგრამ, თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიანგი შენი მეგობარია!

● გუგული მაღრაძე რომ გააკეთებს ახალ კანონპროექტზე განმარტებას „რუსთავი 2“-თან, იმიტომ არ სჯერა საზოგადოებას ის მცირე სიკეეთები, რაც მართლა რეალურად ხდება. არადა, ის კანონპროექტი ტელესივრცეში სარეკლამო მონოპოლიის შესაწყვეტად რომ უნდა მიიღონ, მართლა კარგია, მაგრამ...

ოცნება, მეტი არავინ გყავთ ტელეკამერებთან მოლაპარაკე, თუ ძალით იჩალიჩებთ?

არადა, ნაცებმა რომ დაინახეს ხალხის ანტიპტიური დამოკიდებულება, გიგა ბოკერია და მაია ნადირაძე მოაშორეს ეკრანს. ახლა არ მითხრათ გუგული მაღრაძე უფრო მაგარია, ვიდრე ბოკერიაო!

● დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) – მაკრომოლეკულა, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების გენეტიკური პროგრამის შენახვას, თაობიდან თაობაზე გადაცემასა და რეალიზებას. გეყურებააათ!!! – „მაკრომოლეკულა“!!!

იდიოტის, ანუ ნაცების მეტი. ვინ იტყვის, რომ მოლეკულა სითბოში დაიშალაო?

● ნაცებმა არ გადააყოლეს ვიღაცა ფირცხალავას საათივით აწყობილი საქმე? ეს მთავრობა თავისი უმოქმედობით, გუგულებით, ტყემალაძეებით დ.ა.შ. უფრო მეტს უკეთებდა მაგათ, ვიდრე მიშას ვიდეოჩართვები.

იმდენი ქენით თქვე სირებო, რო გამოაფხიზლეთ მთავრობის მთავარი ნაწილი და პროკურატურა. რაც აწი დაგემართებათ, მე ნუღა დამაბრალებთ.

● „იმედის კვირის“ ანონსი:

„აფრასიძეების ცნობილი საქმე, შესაძლოა, უახლოეს მომავალში გაიხსნას“. ყველაფერი გადაღებულია დაწვრილებით და ამაყად, კუპდარის მოთხოვნის ჩათვლით

მაღალი ტრიბუნიდან საქვეყნოდაა ნათქვამი: „მე გავეცი აფრასიძეების განადგურების ბრძანებას!..“

რაღაა „გასახსნელი“?!

● უდებლუ რო გამოქანდა ჟვანიას მკვლელობიდან 15 წუთში – გაზით გაიგუდაო, უკვე დამთავრებული იყო გამოძიება?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

უკრაინის პატრიარქმა უკრაინაში მებრძოლი ქართველები დააჯილდოვა

უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა 29 ქართველი მოხალისე უკრაინის სიყვარულისა და გაღებული მსხვერპლისთვის ორდენებით დააჯილდოვა.

ქართველი მებრძოლების გარდა, ორდენი ფილარეტმა უკრაინაში დაღუპული ალექსანდრე გრიგოლაშვილის მეუღლესაც გადასცა.

ფილარეტიმ ქართველ მებრძოლებს უკრაინისთვის გაღებული მსხვერპლისთვის მადლობა გადაუხადა. მან აღნიშა, რომ აგრესია, რომელიც ახლა უკრაინის წინააღმდეგ ხორციელდება, ქართველებმა უკვე გამოსცადეს. „თქვენ ღირსეულად დაიცავით თქვენი მიწა და ახლა ჩვენ გვეხმარებით“, – განაცხადა ფილარეტმა და აღნიშნა, რომ უკრაინელი ხალხი არ დაივიწყებს ამ დახმარებას.

უკრაინის პატრიარქმა ქართველ მებრძოლებს ნაკურთხი წყალი ასხურა, აკურთხა და დალოცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაური და ამჟამად უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი ლევან ვარშალომიძე, უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნული გია გეწაძე, საქართველოს გენშტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე, ასევე მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია და სხვები.

ბულგარეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმს ამარტივებს

ბულგარეთის ტურიზმისა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ბულგარეთი ტურისტული ვიზის გაცემისას სავიზო რეჟიმს გაამარტივებს საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსისა და სომხეთის მოქალაქეებისთვის. ამ გადაწყვეტილებით ბულგარეთის ტურიზმის სამინისტრო დსთ-ს ყოფილი ქვეყნებიდან, რაც შეიძლება მეტი ტურისტის მიზიდვას გეგმავს.

არსებული ცნობებით, ცვლილებები ითვალისწინებს მოკლევადიანი ორჯერადი ან მრავალჯერადი ვიზების გაცემას „ორგანიზებული ტურიზმის“ მიზნით ერთი წლის ვადით იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც წარსულში ბულგარეთის ვიზებს იყენებდნენ.

რატომ დატოვა მედეა ვასაძემ „ქართული ოცნება“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მედეა ვასაძე პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ დატოვების მიზეზებს განმარტავს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „ქართული ოცნების“ რიგების დატოვების შესახებ გადაწყვეტილება ემოციურად არ მიუღია.

„2015 წლის 4 თებერვალს გაკეთებული განცხადება გახლავთ ერთ-ერთი მძიმე გადაწყვეტილება. მძიმე, არა მხოლოდ იმის გამო, რაზედაც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, არამედ იმის გამოც, რომ ეს გადაწყვეტილება, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის იმ ადამიანებთან, რომელთა პიროვნული პატივისცემის შენარჩუნებას ვცდილობ ამ დრომდე. ეს გადაწყვეტილება გახლავთ 2 წლისა და 4 თვის ანალიზის შედეგი და გააჩნია ორი დანიშნულება – ამ გადაწყვეტილებით ვრჩები ჩემი ქვეყნის სამსახურში ... (რომელსაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვჭირდები!) და ვიცავ ჩემს ბიოგარაფიას ... (ბოლო 25 წლის განმავლობაში, თითო აგურით, ოფლითა და სისხლით რომ მიშენებია!)“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„იბერკომპანის“ ინვესტიციები რაჭაში

კომპანია „იბერკომპანი“ რაჭაში მეღვინეობის დარგში ინვესტირებას გეგმავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს. უწყების ინფორმაციით, გუშინ ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კომპანია „იბერკომპანის“ წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც მიმდინარე და მომავალ წელს რაჭაში აღნიშნული რეგიონის უნიკალური მეღვინეობის ტრადიციის აღსადგენად ინვესტიციების ჩადებას გეგმავენ.

სტუმრებმა ფინანსთა მინისტრს გააცნეს გეგმა, რომლის მიხედვითაც, რეგიონში ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენება, ღვინის ქარხნისა და სასტუმროს მშენებლობა, აგრეთვე ღვინის ტურიზმის მიმართულების განვითარება იგეგმება. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, წელს ისინი ასევე გეგმავენ გაფართოვებას ნავთობისა და უძრავი ქონების ბიზნესის კუთხითაც.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მსგავსი ტიპის ინვესტირება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს.

◎ მკითხველის წკეპლიკა

თავად დასცინებენ სხვას დასცინიან?!

„კაცების შოუ“ კი არა, „ერთმანეთის ღუტუნი“ უნდა ერქვას

უსაქმური კაცი რომ ერთ ადგილას მახათს იყრიდა, სწორედ ისეა ეგრეთ წოდებული „კაცების შოუს“ საქმე „იმედის“ ეკრანზე. **გამომდგარა ეს ოთხი (გ.ჯანელიძე, დ.ლაბაძე, ი.ვახტანგიშვილი, ი.კაკაბაძე), ეტყობა, სხვა არცრა საქმის მცოდნე, ჯეილი და ლამის მთელი ერთი საათი უკბილოდ იკრიჭება და ღადაობს ქართული გაზეთების ფურცლებიდან ბრმად ამოკენკილ „საკბილოებზე“.**

მართალი გითხრათ, მე თავად თვითონ ამათ საქციელზე მეცინება და არა იმაზე, რასაც ისინი თავიანთი ჭკუით მასხრად იგდებენ და დასცინიან და არა მარტო მეცინება ამათ გაუთავებელ უაზრო ქირქილზე, არამედ მეცოდებიან კიდეც, რომ ამ ზრდასრულ კაცებს ღადაობით გადაუწყვეტიათ ამქვეყნად თავიანთი წილი არსობის პურის შოვნა.

პირადად ჩემზე ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ სხედან და ერთმანეთს უღუტუნებენ, ნაძალადევად ხარხარებენ და ცდილობენ, მაყურებელიც აიყოლიონ თავიანთ ღრეჭა-კრეჭაში.

სანამ დროა, ბევრად აჯობებს, სხვა უფრო კაცური საქმე ნახონ, ვიდრე სხვათა უკბილო დაცინვაა, რადგან მაგათ ვაიხუმრობაზე ჩვენ, მაყურებელს, სულაც არ გვეცინება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ თვითონ უფრო ბევრს იცინიან, თანაც სასაცილოდ.

ისე კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც რა ესიცილებათ ამ, ცოტა არ იყოს, ბედოვლათ ზრდადამთავრებულ კაცებს.

გაიოზ მასხარაშვილი,
„იმედის“ მაყურებელი,
ქ.ბორჯომი.

◎ გამოძიება

ირაკლი ფირცხალავას, შესაძლოა, ბრალი მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით დაუმძიმდეს

იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციის მოქმედ თანამშრომელს გია სოსანაშვილს ბრალი წარუდგინეს. სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით გუშინ მიმართა. დაკავებული სოსანაშვილი ბრალს არ აღიარებს. მთავარი პროკურორის მოადგილის ირაკლი შოთაძის განცხადებით ამ საქმეში დნმ-ის კვალი იმდენად მყარი მტკიცებულებაა, რომ მეცნიერულად მისი საეჭვოდ გახდომა შეუძლებელია.

გამოძიების პროცესში დათვალიერებისას საფლავიდან, სადაც იური ვაზაგაშვილის აფეთქება მოხდა, ამოღებულია აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილი ე.წ. „ფალიის სახელური“, რომელზეც ჩატარებული ექსპერტიზით აღმოჩნდა ადამიანის დნმ-ის კვალი. გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე.

შსს-ს გენერალურ ინსპექციასა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილია და დაკავებულია პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი, რომელიც როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და რომლის დნმ გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს.

ერთ-ერთი ვერსიით იური ვაზაგაშვილის მკვლელობა ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამოძიებას უკავშირდება. ამასთან, საქმეში უკვე დევს ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ირაკლი ფირცხალავასა და იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული გია სოსანაშვილის სატელეფონო საუბრის ამონაწერები. საგამოძიებო ორგანოში ოფიციალურად არ ადასტურებენ, თუმცა, არაოფიციალურად არ გამორიცხავენ, რომ გამოძიების პროცესში ირაკლი ფირცხალავას ბრალი მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით დაუმძიმდეს.

მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის ირაკლი შოთაძის განცხადებით, საფლავზე აფეთქებული ხელყუმბარის ნაწილზე, ე.წ. ფალიის სახელურზე გადაკრულმა საიზოლაციო ლენტმა უზრუნველყო ის, რომ დნმ-ის კვალი დარჩა.

„ასეთი ტიპის ადამიანები ზოგი „ფალიას“ რეზინით აბამს, ზოგი ძაფით, ზოგი იზოლენტით, რომ თავიდან აირიდონ გაუთვალისწინებელი აფეთქებები. ამ შემთხვევაში მკვლელმა გამოიყენა „იზოლენტი“. „ფალიის“ სახელურის სურათებში თქვენ შეამჩნევთ, რომ სახელურზე შეინიშნება ე.წ. იზოლენტის გადაკვრის კვალი, ანუ ერთი მხარე არის წებოვანი. სწორედ „იზოლენტის“ წებოვანმა გარსმა უზრუნველყო ის, რომ ამ სახელურზე დარჩა დნმ-ის კვალი. ეს არის მკვლელის შეცდომა. დასამალი არ არის, ჩვენ გაგვიმართლა. ასეთი გამართლება ბევრ საქმეზე არ ხდება, გაგვიმართლა და ამ შეცდომის საფუძველზე აღმოჩნდა სახელურზე დნმ-ის კვალი. ეს დაედო საფუძვლად იმას, რომ დღეს ჩვენ გავხსენით ეს საქმე და ვიცით უშუალოდ ის პიროვნება, რომელმაც ააფეთქა იური ვაზაგაშვილი“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

მისივე განცხადებით, არის რამდენიმე თვითმხილველი იმისა, თუ როგორ მოემართებოდა გია სოსანაშვილი რამდენჯერმე ყარაფილას სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან, გაუკვალავ გზაზე. შოთაძე დაკავებულის ადვოკატის მიერ დასახელებულ ალიბს „თითიდან გამოწოვილს“ უწოდებს და აცხადებს, რომ მტკიცება ვაზაგაშვილის აფეთქების დროს ვიღაც სასადილოში იჯდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანმა რამდენიმე საათით ადრე ასაფეთქებელი მოწყობილობა არ დადო სადღაც. მისივე განცხადებით, საჭირო არ არის ამფეთქებელი აფეთქების მომენტში შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდეს. ეს ალიბი თითიდან გამოწოვილია და მასზე სერიოზულად საუბარი არ შეიძლება.

„არიან მოწმეები, რომლებმაც სოსანაშვილი ყარაფილას სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაინახეს. ანალიზი გაუკეთდა ანძებზე დაფიქსირებულ 30 ათასამდე ზარს. პარალელურად ათეულობით მოწმე დაიკითხა. რამდენიმე თვითმხილველია, თუ როგორ მოემართებოდა რამდენჯერმე გია სოსანაშვილი ყარაფილას სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან გაუკვალავ გზაზე. არიან თვითმხილველი მოწმეები, რომლებიც ამ ადამიანს იცნობდნენ. გია სოსანაშვილი დაინახეს შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე 19 იანვრიდან მოყოლებული 20 იანვრის ჩათვლით. გარდა ამისა, არსებობდა შესაბამისი ოპერატიული ინფორმაციაც“, — აცხადებს ირაკლი შოთაძე.

გია სოსანაშვილის ადვოკატი სოსო ჯოგლიძე ადასტურებს, რომ დაკავებულს ურთიერთობა ჰქონდა ირაკლი ფირცხალავასთან, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით არის დაკავებული. რაც შეეხება დნმ-ის ანალიზს, ჯოგლიძის განცხადებით, ხელყუმბარაზე აფეთქების შედეგად იმხელა სიმხურვალე წარმოიქმნებოდა, რომ დნმ-ის ანალიზის კვალის აღმოჩენა შეუძლებელი გახდებოდა. ამასთან ადვოკატი აცხადებს, რომ გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა ნათლისღების დღესასწაულზე მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ ფირცხალავასთან დარეკვა.

„როდესაც მოხდა დანაშაული, გიორგი სოსანაშვილი კასპში, მეგობართან ერთად, ერთ-ერთ სასადილოში იმყოფებოდა, სადაც სატელეფონო ზარით მისთვის გახდა ცნობილი, რომ იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე აუფეთქებიათ. მომხდარში ჩემი დაცვის მყოფს არანაირი წვლილი არ მიუძღვის. იგი სავსებით უდანაშაულოა. ჩემი ალიბი არის ის, რომ აღნიშნულ ადგილზე სოფელში, სადაც დანაშაული მოხდა, ის ორი-სამი თვე ჩასული არ ყოფილა.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მისი ახლობლის დედის გასვენებაში ჩავიდა, მას თან პატრულის ორი თანამშრომელი ახლდა, აქედან გამომდინარე, ის ორი პატრულიც დაიკითხება, რომლებიც დაადასტურებენ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი მაშინ სახლში იმყოფებოდა. ეს არის 19 იანვარი. ნათლისღების დღესასწაულის მილოცვა იყო საფუძველი გამოძიების დაწყებისა, როცა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა გადაურეკა მის ნაცნობს ირაკლი ფირცხალავას, მაგრამ ფირცხალავას არ უპასუხია. 20-ში დილით განხორციელდა ზარი ირაკლი ფირცხალავასგან და მოიკითხა, თუ ვინ კითხულობდა მას. მისგანაც იყო მილოცვის ტექსტი. სხვა საუბარი არ იყო“, — განაცხადა სოსო ჯოგლიძემ.

იური ვაზაგაშვილის ადვოკატის ირმა ჭკადუას განცხადებით, სოსანაშვილის დაკავების საქმეში მტკიცებულებათა ჯაჭვი არსებობს. ადვოკატის განცხადებით, ერთ-ერთი მტკიცებულება, დნმ-ის ანალიზის გარდა, სატელეფონო ზარია, რომელიც დაკავებულმა აფეთქებიდან რამდენიმე წუთში ყარაფილას სასაფლაოდან განახორციელა. ადვოკატის განცხადებით, სოსანაშვილი ირაკლი ფირცხალავას გარემოცვას წარმოადგენს.

„უტყუარად არის დადასტურებელი, რომ ეს პიროვნება შემთხვევის ადგილზე იყო. საერთოდ ასე ხდება, ჯერ მკვლელს აკავებენ და შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის შემკვეთს დაასახელებს. გამოძიება სხვადასხვა ვერსიაზე მუშაობს. იდეალური მკვლელობები არ არსებობს და ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა მკვლელი კვალს არ ტოვებს.

ეს ადამიანი ბოლო წლების განმავლობაში ყველა საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა, მან კარგად იცის იარაღის ხელოვნება. აფეთქების შედეგად, როგორც წესი, შესაძლებელია კვალი წაშლილიყო, მაგრამ ის აბსოლუტურად საღად გადარჩა ე.წ. „სკოჩზე“, სადაც იყო დნმ და რამაც პროკურატურა ამ შედეგამდე მიიყვანა“, — აცხადებს ირმა ჭკადუა.

თამთა ქარჩავა

◎ დაპირისპირება

გუგული მაღრაძე ნიკა გვარამიას სასამართლოში უჩივლებს

მაუწყებლობის **შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ტელევიზიებს შეუძლიათ საათში მხოლოდ 20 პროცენტი, ანუ 12 წუთი დაუთმონ რეკლამას. ეს, რა თქმა უნდა, შვებას მოჰგვრის მაყურებელს, მაგრამ ფინანსურად დააზარალებს მაუწყებლებს. ამის გამო მწყობრიდან გამოსული „ტელევიზიონშიკები“ ისე დაერივნენ ამ კანონის მხარდამჭერ პარლამენტარებს, რომ პიროვნულ შეურაცხყოფაზეც კი გადავიდნენ...**

ამის ნათელი მაგალითი იყო „რუსთავი-2“-ის ეთერით ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებული განცხადებები გუგული მაღრაძის მისამართით... გენერალური დირექტორი დეპუტატის ქონებასაც კი შეეხო და დაახლოებით ასეთი აზრი გაახმიანა:: პარლამენტარობა მაღრაძის ფინანსებზეც აისახაო, თუმცა, მას, ბუნებრივია, დეპუტატის ლეგალური შემოსავლები არ უგულისხმია.

თავად გუგული მაღრაძემ კი „რუსთავი-2“-ის ეთერით განაცხადა, ამ კანონპროექტში ისეთი არაფერია, რაც ევროდირექტივებს ეწინააღმდეგება. მისი მთავარი მიზანია, მომხმარებელი დაიცვას იმ ხანგრძლივი რეკლამებისგან, რაც ადამიანების გაღიზიანებას იწვევსო, რასაც ნიკა გვარამიას ასეთი რეაქცია მოჰყვა: **„დარწმუნებული ვარ, გუგული მაღრაძეს ეს კანონი წაკითხული არა აქვს. შეიძლება განმარტებითი ბარათი ან ტყემალაძის ზეპირსიტყვიერი განმარტებები აქვს მოსმენილი. მაგრამ კანონი წაკითხული არა აქვს. ადამიანი გვიხსნის მედიამენეჯმენტის თაობაზე და ამბობს, რომ შეიძლება იმავე რაოდენობის რეკლამა გვქონდეს. ეს ან უცოდინარობაა ან უსინდისო ტყუილი“.** ნიკა გვარამიას თქმით, პარლამენტის ეს გადაწყვეტილება უშუალოდ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელიც ტელეკომპანიის გადაცემების ხარისხსა და თანამშრომლების ანაზღაურებაზე აისახება. თანაც, ეს რეკლამას გააძვირებს...

გვარამიას განცხადებებს მეორე დღესვე გამოეხმაურა მაღრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა მას პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც სასამართლოში ჩივილს აპირებს.

„რუსთავი-2“-ში დამპატიჟეს როგორც სტუმარი და ისე გააკეთეს, რომ პასუხის გაცემის შესაძლებლობა აღარ მქონდა. ის, რაც გვარამიამ ჩემი გამოსვლის შემდეგ ილაპარაკა, მოგვიანებით ვნახე. მე ბევრ რამეზე მაქვს პროტესტი და ბევრ რამეს, რაც ჩემი მისამართით გვარამიამ თქვა, უპასუხოდ არ დავტოვებ. აქ საუბარი არ იყო მხოლოდ პოზიციებზე, აქ საუბარი იყო პიროვნულ შეურაცხყოფაზე და ჩემს შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელებაზე. ამიტომ გამოვიყენებ ყველა შესაძლებლობას, რასაც საქართველოში სამართლებრივი სივრცე იძლევა და ამ სამართლებრივი სივრცის ფარგლებში მე მას შესაბამის პასუხს მოვთხოვ. ნამდვილად არ ვაპირებ, გვარამიას ვაპატიო ჩემს მიმართ ასეთი ტიპის შეურაცხმყოფელი განცხადებები“, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

„მე უნდა გადავხედო კანონმდებლობას. ჩემს ადვოკატთან ერთად გავივლი კონსულტაციას, თუ რა შესაძლებლობას იძლევა კანონმდებლობა და უსათუოდ მივმართავ სასამართლოს. იქნება ეს ბოდიშის მოხდა, კომპენსაცია თუ სხვა, მოვიფიქრებთ. იმიტომ კი არა, რომ ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს, თუ რა თქვა ნიკა გვარამიამ, იმიტომ კი არა, რომ საზოგადოებამ არ იცის, ვინ ვარ მე და ვინ არის ნიკა გვარამია, მაგრამ აუცილებელია, რომ ასეთი პრეცედენტი იყოს. მით უმეტეს, როდესაც მე შენს ტელევიზიაში სტუმარი ვარ, მოვდივარ იქიდან და კუდში მაყოლებ ბრალდებებს, რომლებზეც მე პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ მაქვს. ძალიან გამწარებული იყო ნიკა გვარამია. ეტყობა, მისმა პატრონებმა უთხრეს, რომ უნდა მოეგერიებინა ის, რაც მე ვთქვი და რადგანაც სხვა არგუმენტები არ ჰქონდა, პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადავიდა. ასე რომ, ამას ასე ვერ დავტოვებ“, — განაცხადა დეპუტატმა.

გუგული მაღრაძის შეფასებით, ნიკა გვარამიამ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ „რუსთავი-2“ დამოუკიდებელიაო, თუმცა, კონკრეტულად რას გულისხმობდა, დეპუტატს დეტალებზე არ უსაუბრია.

ვნახოთ, როგორ პრეცედენტს შექმნის გუგული მაღრაძე და შეძლებს თუ არა, ისეთი „დაქოქილი“ გენდირექტორის მოგერიებას, როგორც ნიკა გვარამიაა!

თეა მოსია

◎ უშიშრად ვაკეთოთ ჩვენი საქმე

გაუგებარია, დინება სად, როდის და რომელ ნაპირზე გამოგვაგდებს!..

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.

— ბატონო სანდრო, ლარის გაუფასურების თემაზე ბევრი მოსაზრება გამოითქვა. თქვენი აზრით, რამდენად სწორად აფასებენ ლარის „ჯანმრთელობის მდგომარეობას“ ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიცია და თქვენი კოლეგა ექსპერტები, რამდენად დიდია საფრთხე, რომ გაუფასურების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს?

— ბოლო ერთი კვირა საზღვარგარეთ გავატარე და ჩემი კოლეგა ექსპერტების გამონათქვამის ნაწილი შეიძლება გამემოპარა კიდეც, რისთვისაც მათ ბოდიშს ვუხდი.

რეალურად კი, ჩვენ იმავე მოვლენებთან გვაქს საქმე, რაც დეკემბერში და აქ ახალი არაფერია. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ცენტრალურ ბანკს აქვს ყველა შესაძლებლობა, ამ გამოწვევას გაუძღოს და ამ თვალსაზრისით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გამოსვლას ვეთანხმები. ოღონდ, ეროვნული ბანკი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას ტრადიციულად დაგვიანებით იწყებს — ასე მოხდა დეკემბერში, ასე ხდება ახლაც.

იმასაც ვეთანხმები, რომ ლარის გაუფასურება, ნაწილობრივ მაინც, გარე ფაქტორებით არის გაპირობებული, ოღონდ დოლარის გაძლიერებით კი არა, არამედ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსეთის ეკონომიკის დასუსტებით. საქმე ის არის, რომ რუსეთიდან ფულადი გზავნილების ოდენობა მკვეთრად შემცირდა, რის გამოც ფართო ფულის მასაში დოლარსა და ლარს შორის ბალანსი დაირღვა. იგივე მოვლენებთან ჩვენ 1998 წელს გვქონდა საქმე, მაგრამ ეს რატომღაც დავივიწყეთ და შესაბამისი ზომები არ მივიღეთ.

არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ლარი მნიშვნელოვნად შეიძლება გაუფასურდეს. იმედი მაქვს, რომ ეროვნული ბანკი გაუფრთხილდება ჩვენი ეკონომიკის ერთადერთ მონაპოვარს — მდგრად ეროვნულ ვალუტას.

— რჩება შთაბეჭდილება, რომ ლარის კურსის თემა არ გახლავთ მხოლოდ ეკონომიკური საკითხი. ოპოზიციას სურს, მთავრობამ დაშვებული შეცდომები აღიაროს, მთავრობა კი, როგორც იტყვიან ხოლმე, იხტიბარს არ იტეხს. თქვენი აზრით, რამდენად პოლიტიზებულია ეს თემა, ვის და რისთვის შეიძლება სჭირდებოდეს მისი პოლიტიზება?

— მაპატიეთ, მაგრამ მე ასეთი პოლიტიკური დებატები და ინტრიგები არ მაინტერესებს — ეს კარგის მომტანი არ არის და მხოლოდ დროის კარგვას იწვევს: ოპოზიცია (თუ მას აქვს უფლება ამ „იარლიყის“) რაციონალური წინადადებების ნაცვლად მოქმედებს პრინციპით — „რაც უარესია, მით უკეთესია“, მთავრობა კი მათთან კინკლაობაში კარგავს დროს. მთავარია, საქმე გაკეთდეს და ამას საქართველოს მოსახლეობა, მერწმუნეთ, კარგად იაზრებს. ასე თუ გაგრძელდა, მოსახლეობაში საერთოდ ნიჰილიზმი გაბატონდება, რაც არაერთხელ მომხდარა. გადახედეთ, თუნდაც, სოციალურ ქსელებს... საუბედუროდ, ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ადრე დაშვებულ შეცდომებს ვერ აანალიზებს და ისევ ინფანტილურ კინკლაობაში გადადის.

— ამ თემასთან დაკავშირებით ერთი უცნაური რამ უკვე მოხდა. როგორც კი ექს-პრემიერმა ივანიშვილმა ბრძანა, რომ „ლარს საფრთხე არ ემუქრება,“ მეორე დღესვე გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი ქადაგიძემ ლარის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მონიტორული პოლიტიკის გამკაცრება და შემცირების მიმართულებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდის გადახედვა დაასახელა. მისივე თქმით, ამის გაკეთება იმისათვისაა საჭირო, რომ „ინფლაციურმა მოვლენებმა ფასების ზრდა არ გამოიწვიონ.“ ქვეყანაში მონიტარული პოლიტიკის გატარება ეროვნული ბანკის ექსკლუზიური უფლება კია, მაგრამ, ვითარებაში, როცა ექსპერტთა ნაწილი ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის არაკოორდინირებულ მოქმედებებზე საუბრობს, რჩება შთაბეჭდილება, რომ მონიტარული პოლიტიკის გამკაცრების შემთხვევაში მოსალოდნელია მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის უკვე ღია დაპირისპირება. ამის ალბათობა დიდია? და კიდევ, თუ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა დაპირისპირებების კუთხით წავიდა, როგორ აისახება ეს ლარის კურსზე, ეკონომიკაზე და შიდაპოლიტიკურ პროცესებზე?

— ისეთ კითხვებს მისვამთ, რომელსაც ლელა კაკულიაც კი ვერ უპასუხებს. ცხადია, ეროვნულმა ბანკმა უნდა შეამციროს მიმოქცევაში მყოფი ლარის მასა, მაგრამ რატომ უნდა აისახოს ეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, ჩემთვის გაუგებარია. ინფლაციურ პროცესებს იწვევს მიმოქცევაში მყოფი ჭარბი ფული და არა ეკონომიკის განვითარება.

როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის, არ ვიცი. იმედია, რომ ორივე მხარე თავის ამბიციებსა და პარტიულ ინტერესებს გვერდზე გადადებს და აქტიურად ითანამშრომლებს. სხვაგვარად, პერსპექტივაში მათ სარბიელიც არ დარჩებათ — საქართველოს დეფოლტი დაემუქრება.

— ექს-პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა „იმედისათვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა — „ეკონომიკაში ყველა მიმართულებით მიღწევები გვაქვს“. გასული წლის ეკონომიკური შედეგების შეჯამებისას თქვენ საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეთ მთავრობის ეკონომიკური გუნდის საქმიანობა. თქვენი აზრით, რა შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკაში მიღწევად და არა აშკარა ჩავარდნად?

— მეჩვენება, რომ სოფლის მეურნეობაში გატარებული ღონისძიებებისა და სამართლიანობის აღდგენის პირველი, ძალზე მოკრძალებული ნაბიჯების გარდა, არაფერი მნიშვნელოვანი არ გაკეთებულა. შექმნილია საპარტნიორო ფონდი, მაგრამ მისი საქმიანობა ბურუსითაა მოცული. თითქოს არსებობს საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობებიც, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან პროექტებს ჯერ ვერ ვხედავთ — ყველაფერი ჯერ ლაპარაკის დონეზეა. ფინანსთა მინისტრის ინიციატივით იქმნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, მაგრამ ამაზე აღარაფერი ისმის. ჩვენ ლატენტურად მივყვებით ყოველდღიურობის დინებას და აბსოლუტურად გაუგებარია, ეს ნაკადი სად, როდის და რომელ ნაპირზე გამოგვაგდებს.

— „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივით თბილისში სამართლიანობის მოთხოვნით აქცია გაიმართა. „პანორამა თბილისის“ განხორციელების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გაიმართა თბილისსა და ბათუმში. მართალია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაოდ ბევრი დროა, მაგრამ სავარაუდოდ, საზოგადოების აქტიურობა წელსაც იმატებს. ნაცმოძრაობას აქტიურობა არც არასოდეს შეუწყვეტია, მაგრამ ახლა ოპოზიციურ ფლანგზე სხვებიც გააქტიურდნენ. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე რაიმე სერიოზული სიურპრიზები ხომ არაა მოსალოდნელი შიდა პოლიტიკაში და რამდენად დიდია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ალბათობა, რომლის შესახებ კარგა ხანია პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიცია საუბრობს და რომლის ჩატარება ექს-პრემიერმა ივანიშვილმაც არ გამორიცხა?

— ოპოზიციაში ახალი ძალების გამოჩენას მე მხოლოდ მივესალმები — ეს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის (უფრო ზუსტად, მშენებლობის მცდელობის) უდავო ნიშანია. იმაშიც, რომ აქციები იმართება და ეს აქციები გააქტიურდება, ცუდი არაფერია. მე ბატონ ივანიშვილს ერთ რამეში დავეთანხმებოდი: მეც მიმაჩნია, რომ ნაცმოძრაობას მეტი რესურსის მოზიდვის შესაძლებლობა არ გააჩნია, არაფერი რომ არ ვთქვათ რევანშზე. თუმცა, როგორც ბრძანა ბატონმა სულხან მოლაშვილმა, რომელსაც მე მრავალი წელია, დიდ პატივს ვცემ, მოსალოდნელია პროვოკაციული აქციები. იმედია, შსს-ს ახალი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ ხიფათს და სამინისტროს პროვოკატორებისგან გაწმენდს. აგრეთვე, ვისურვებდი სამოქალაქო შეგნების მქონე ოპოზიციურ პარტიების გაერთიანებას. ოდესმე ხომ რამდენიმეპარტიულ სისტემაზე უნდა გადავიდეთ?

— საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის სავარაუდო ადგილად ვაზიანის ტერიტორია დასახელდა. ხელისუფლების მტკიცებით, ამ ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით „რისკები შეფასებულია“. ძნელი დასაჯერებელია, რომ მოსკოვი რეაქციის გარეშე დატოვებს ჩვენთან ნატოს საწვრთნელი ბაზის მშენებლობას. უკვე ცნობილია, რომ კრემლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თავისი სამხედრო ქვედანაყოფების გაძლიერებას გეგმავს. ცენტრის გახსნაც და რუსული ბაზების ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაძლერება რომ საფრთხეებს ზრდის, აშკარაა, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა ვითარებაში შეიძლება უფრო ხილული აღმოჩნდეს რუსული საფრთხე და რამდენად დიდია საქართველოს მიმართულებაზე კრემლის გააქტიურების ალბათობა?

— ჩვენ ჩვენი საქმე უშიშრად უნდა ვაკეთოთ. რუსეთი ყველა შემთხვევაში აფხაზეთთან და ოსეთთან ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა და მიუხედავად იმისა, შეიქმნებოდა თუ არა ვაზიანში ნატოს საწრვთნელი ბაზა, თავის კონტიგენტს აფხაზეთსა და ოსეთში გააძლიერებდა. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ „ცივი ომის“ ახალ ფაზაში ვართ და აქ საქართველომ თავისი ადგილი უნდა აირჩიოს — როცა მანქანების ნაკადში ქუჩას გადადიხარ, არჩევანი უნდა გააკეთო და ან წინ წახვიდე და ან უკან. თუ დაიწყებ ისტერიულად მერყეობას და წინ-უკან ფორთხიალს, აუცილებლად გაგიტანენ.

კობა ბენდელიანი

◎ დიდი აბრეშუმის გზა

ძველი დერეფნის ახალი ხედები

კაცობრიობის ისტორიაში ძნელია ისეთი გრანდიოზული სავაჭრო-ეკონომიკური „პროექტის“ მოძებნა, რომელიც ჩინეთის უკიდურესი აღმოსავლეთიდან ევროპის უკიდურეს დასავლეთამდე იქნებოდა გადაჭიმული. დიდი აბრეშუმის გზის მასშტაბსა და მნიშვნელობაზე უაღრესად ზერელე წარმოდგენის შესაქმნელად მარტო ორი ციფრის მოყვანაც კმარა: მის გასწვრივ დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი ცხოვრობს, რომელის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს აწარმოებს. მისი აღორძინების იდეა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში დიდად პოპულარული იყო აზიაშიც და ევროპაშიც. ასევე, ცხადია, მათ შესაყარზეც — სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, მერე და მერე, დაძაბულ პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ეს იდეა ჩვენში ერთგვარად მინავლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი სიმხურვალე ბოლომდე არ განელებულა. ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე გამოსვლისას, კერძოდ, განაცხადა: „სრულფასოვანი გამოყენების შემთხვევაში, აბრეშუმის გზა ვაჭრობის გაფართოების, ახალი ენერგორესურსებისა და ენერგომომარაგების ქსელების განვითარებისა და თანამშრომლობის მხრივ, მნიშვნელოვან ძალად იქცევა. ახალი აბრეშუმის გზის მთელი პოტენციალის ასამოქმედებლად საერთაშორისო საზოგადოებამ ძალისხმევა უნდა გააორმაგოს ისეთ სამ საკვანძო სფეროში, როგორებიცაა ვაჭრობა და ტრანსპორტი, ასევე ენერგეტიკა და ადამიანებს შორის კონტაქტები“.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის დიდი აბრეშუმის გზის ამოქმედებას თუნდაც მარტო სატრანსპორტო დერეფნის სრული მოცულობით აღდგენის შემთხვევაში, ამის თაობაზე უამრავი რამ ითქვა და დაიწერა, მათ შორის, ცხადია, ჩვენს გაზეთშიც. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის წიაღიდან წამოსული თანამედროვე აბრეშუმის გზის ენერგომომარაგების საქმეში საქართველო ამჟამად მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს: სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომლებითაც კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადები ევროპის ქვეყნებს მიეწოდება. ახლო მომავალში კი საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპის ბაზარზე კასპიური შაჰდენიზის საბადოს ენერგოშემცველის მეორე ფაზის პროექტი განხორციელდება, რომლითაც ყოველწლიურად 16 მილიარდი კუბური მეტრი საწვავი გავა.

საქართველოს აბრეშუმის გზის აღორძინების მეორე ფაზაში ინტენსიურად ჩასართველად ქვეყნის მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ავღანეთის ხელისუფლებებთან.

იხ. 8 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

სიახლე თბილისის მეტროპოლიტენში

თბილისის მეტროპოლიტენში ტაბლოზე მატარებლის მისვლამდე დარჩენილი ფაქტიური დროის ასახვა მოხდება. მგზავრთა მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით სატრანსპორტო კომპანიამ მეტროს მგზავრებს ახალი სერვისი შესთავაზა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, თბილისის მეტროპოლიტენში სრულად განახლდა მატარებლების მოძრაობის დროის ამსახველი არსებული ტაბლოები, ტაიმერები და მათ ახალი ფუნქცია— უკუტაიმერი დაემატა.

„თუ აქამდე ტაიმერები ასახავდა წინა მატარებლის გავლის შემდეგ გასულ დროს, უკუათვლის ტაიმერებზე აისახება შემდეგი მატარებლის მოსვლამდე დარჩენილი ფაქტიური დრო, რაც გაცილებით მეტად ინფორმატიული და მოსახერხებელი იქნება მგზავრისთვის. აღნიშნული პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა მეტროს სადისპეტჩერო სისტემის მოდერნიზაციის ფარგლებში, რომელის მიზანიც მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებაა“, — აცხადებენ კომპანიაში.

ინტერპრესი

◎ ღმერთო, შენ გვიშველე!

„გემრიელი ქართული“ ლაშასებურად,

ანუ სადიზმის გაკვეთილები „ლაითად“

რას არ გაიგებს კაცის ყური.

ამას წინათ (შემთხვევით) „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემას ვუყურებდი, „საპოვრო“ გადაცემები რომ აქვთ ხოლმე, იმ გადაცემას. საუბარ-საუბარში, სანამ მორიგი კერძი აშიშხინდებოდა, წინსაფრიანი მზარეულ-წამყვანები გულისყურით უსმენდნენ მოწვეულ სტუმარს – ლაშა ბუღაძეს, რომელიც კარგი გურმანივით „აგემოვნებდა“ ახალგამომცხვარ წიგნებს, ანუ რეკლამას უკეთებდა მისგან მოწონებულ და ჩვენგან მოსაწონებელ პროდუქციას. ამასობაში, ხელში აიღო ყბადაღებული ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულო წიგნი. „ყბადაღებულიო“, იმიტომ ვთქვი, რომ ეს ის ბარბარე ჯორჯაძე გახლდათ, ვინც სისხლს უშრობდა დიდ ილია ჭავჭავაძეს, ქართულ მართლწერასა და, მართლწერასთან ერთად, მართლმეტყველებას ასწავლიდა და გაკაპასებული ტუქსავდა ერის მოჭირნახულეს იმისთვის, რომ, როგორც ამ ქალბატონს ეჩვენებოდა, ილია „დარბაისლურ ქართულს“ აბუჩად იგდებდა და „ტეტიების ენაზე“ გადაჰყავდა ქართული ენა. ქალბატონი ბარბარე ანტონ კათალიკოსის გაუკულმართებული „სამი შტილის“ მიმდევარი იყო. აქვე ისიც მინდა, აღვნიშნო, რომ ამ ხელოვნური, არაბუნებრივი თეორიის გავლენას განიცდიდნენ ჩვენი დიდი რომანტიკოსები – გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაგრამ ამ დიდოსტატებმა თავიანთი ნიჭის წყალობით შეძლეს, თავი დაეღწიათ მავნე თეორიისათვის. თუმცა, რომ არა დიდი ილიას ძალისხმევა, ძალისხმევა მისი თანამოსაგრეებისა, როგორებიც იყვნენ აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი, გამორიცხული არ არის, რომ ქართველი ერი „მაღალი შტილით“ ამეტყველებულიყო. კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა ამას: დიდმა ილიამ გვიხსნა ასეთი უბედურებისგანო.

აი, ამ ქალბატონის საკულინარიო წიგნის პრეზენტაცია გამართა ლაშა ბუღაძემ. და, ჰოი, საკვირველებავ! აქ ისეთი რამ თქვა, რამაც უთუოდ მოწინავე ადგილი უნდა დაიკავოს „უცნაურ გამონათქვამთა“ კრებულში (თუ ოდესმე გამოქვეყნდება ასეთი წიგნი).

ლაშამ შემდეგი რამ თქვა: ბარბარე ჯორჯაძის წიგნი გვასწავლის არამარტო გემრიელი კერძების მომზადებას, არამედ თვითონ არის „გემრიელი ქართულით“ დაწერილიო. ძვირფასო მკითხველო, მე კარგად ვიცი, რა „გემრიელიც“ შეიძლება, იყოს ბარბარე ჯორჯაძის ქართული, მაგრამ მაინც ყურები ვცქვიტე და აი, თურმე რა ეგემრიელა ლაშას:

მან დიდი პათოსით, მოწონების არაერთგზისი შეძახილებით წაგვიკითხა ბარბარე ჯორჯაძის რეცეპტურა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ქათამი გავხადოთ უფრო გემრიელი, ვიდრე ის არის. საინტერესოა, არა? მაგრამ ვაი, რომ „კულინარიის“ ფარგლებს სცილდება ეს ყველაფერი. უსმინეთ ლაშას: ცოცხალ ქათამს ცხელ წყალში უნდა ჩავაყოფინოთო თავი. საწყალი ქათამი, რა თქმა უნდა, აფართხალდება, მაგრამ ჩვენ უნდა ვიმარჯვოთო, კარგად უნდა შევბოჭოთ და მოვგუდოთო წყალში! ასე ძალდატანებით (სადისტურად) დამხრჩვალი ქათამი თურმე განსაკუთრებით გემრიელი ხდება. ყველაფერი ეს ლაშამ „მადისაღმძვრელად“ წაგვიკითხა.

ცხოველთა დამცველი საზოგადოებები რომ არსებობენ, ვიცი. ფრინველთა დაცვაზე არაფერი მსმენია, მაგრამ მაინცდამაინც ძაღლი ან კატა უნდა გაგუდოს რომელიმე ჭკუანაღრძობმა, რომ შევწუხდეთ? და საერთოდ, რატომ უნდა ჰგვრიდეს ნეტარებას ადამიანს და, მით უფრო მწერალს, ასეთი კოშმარული სურათების წარმოსახვა? რისი ბრალია ეს? იქნებ ჩვენი საზოგადოებაა ავადმყოფი და ამგვარი „კერძის“ მოთხოვნილებაა ჩვენში?! „მედლის“ მეორე მხარეც რომ განვიხილოთ, ქალბატონი ჯორჯაძე, ასეთი სადისტური მიდრეკილებების მქონე ქალი, ხეირს რომ არ დააყრიდა წმინდა ილია მართალს, ეს მართლაც ცხადი უნდა იყოს.

საქართველოში ძაღლის ხორცს არ ჭამენ, მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში ჭამენ ძაღლის ხორცს. მაგალითად, ვიეტნამში. საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ლაშა ბუღაძეს, რომ გაეგო, რომელიღაც ვიეტნამელ მწერალს მოსწონებიაო წყალში ძაღლის ჩახრჩობით კერძის მომზადების „რეცეპტი“? ან რატომ იქნება გასაკვირი და მიუღებელი ლაშა ბუღაძისთვის ისეთი „რეცეპტი“, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა ჩავახრჩოთ წყალში, ვთქვათ და, გოჭი? ან იქნებ ლაშა ბუღაძე მარტო ქათმების ძალადობრივად, სადისტურად წყალში ჩახრჩობის მოხალისეა, თორემ სხვა ცოცხალი არსებების გულშემატკივარია? ქათამთმომძულე ხართ, ლაშა ბატონო, თუ საერთოდ არ გებრალებათ პირ-უტყვი არსება?

განა შეიძლება ცოცხალი არსების წვალებით და მით უფრო, მისი მოგუდვით მოგვრილ გრძნობას ეწოდოს „სიამოვნება“? ეს ხომ სადიზმია? ნეტავ, სადამდე წვდება სადიზმის საზღვრები? ცოცხალი არსების წყალში ჩახრჩობამ, როგორ შეიძლება ნერწყვი მოგგვაროთ და კუჭის საღერღელი აღგიძრათ, ბატონო ლაშა?

გისურვებთ გემრიელად დანაყრებას, მაგრამ არა ქათმის წყალში დახრჩობის მეშვეობით.

ბაგრატ ბადიდი,

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

◎ ფილოსოფიური მიგნება

„ოსკარი“ „მანდარინების“ ღიმილში!

სიკვდილის დრამატიზმით გაჯერებულ „ოსკარის“ პრემიაზე წარდგენილ „მანდარინებში“, ალბათ, წარმოუდგენელია ღიმილის თემატიკის გააზრებაც კი, მაგრამ ქართული გენის ბრწყინვალება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეძლო ერთი შეხედვით შეუძლებელი!!

და თუ მიიღებს „მანდარინები“ „ოსკარს“, ეს იქნება აუცილებლად სწორედ იმ ღიმილის დამსახურება, რომელიც ფილმის შემქმნელმა ჯგუფმა ჩადო „მანდარინებში“.

მე, რა თქმა უნდა, „მანდარინების“ დაწვრილებით განხილვას ვერ დავიწყებ ამ პატარა სტატიაში, რადგანაც კინომცოდნეობაზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ იმას მოგახსენებთ, რაც, როგორც მაყურებელმა, შევნიშნე.

ფილმში ჩართულნი არიან ჩეჩენი, რუსი, ქართველი, აფხაზი და ესტონელი ეროვნების წარმომადგენლები. ზოგი იბრძვის და სიკვდილს უყურებს თვალებში, ზოგი მანდარინებს უვლის და მის გაყიდვაზე ოცნებობს, ზოგიც სიყვარულზე და ზოგიც სახლზე.

ამ ორომტრიალში კი ესტონელებს, ქართველებს, აფხაზებს და ჩეჩნებსაც, რამდენჯერმე ღიმილი გადაურბენთ ხოლმე სახეზე, რასაც ვერ ვიტყვით რუს მებრძოლებზე, რომლებიც ეკრანზე გამოჩენისთანავე ქართველად ეჭვმიტანილ ჩეჩენ ახმედს დასახვრეტად იმეტებენ.

მაგრამ კვდებიან თვითონ და მათი არაკაცობის მსხვერპლნი ხდებიან ესტონელი მარკუსი და ნიკოც (ფილმი აუცილებლად უნდა გქონდეთ ნანახი, რომ იმსჯელოთ).

ფილმში სულ კაცები მონაწილეობენ. ერთადერთი ქალი ესტონელი, უაღრესად კეთილშობილური პაპა ივოს შვილიშვილია – მარიამი, რომლის სურათის ხილვისას, სიკვდილს კლანჭებიდან ახლად გამოგლეჯილი ნიკო წამიერად იღიმის სიტყვებით – „ის ისეთი ლამაზია, თვალს ვერ ვაშორებ“. პაპა ივო კიდევ უფრო ანვითარებს ფრაზას: „სინამდვილეში უფრო ლამაზია ჩემი გოგო მარიამი“ და წამიერი ღიმილი მასაც გადაურბენს სახეზე.

ამ დროს მეც მათ ღიმილს ვუერთდები, სულ ახლახან შექმნილი პატარა სტროფით:

ქალაუ
მთვარეს გადარებ გაბადრულს,
მოხეტიალეს ცაზედა,
იქაც ბელტ ვერ ვნახ აღმა ხნულ,
მაინც მიყვარხართ ძალზედა!

მეორე ღიმილია, როცა პაპა ივო ახმედს ეუბნება – „აი, ჩვენ ჩავალთ თბილისში, ვნახავთ ნიკოს სპექტაკლს და აი ასე დავუკრავთ ტაშსო“ (და ორივენი ტაშისკვრით იღიმიან).

მესამე ღიმილია, როცა ნიკოს დამარხვის შემდეგ ახმედი ეუბნება პაპა ივოს: „მე რომ მოვმკვდარიყავი ნიკოს მაგივრად, შენი შვილის გვერდში დამასაფლავებდი?“, იგი კი პასუხობს: „ჰო, აბა რაა? მარა ცოტა მოშორებით!“ და ორივენი წამიერად იღიმიან.

ასლანს, აფხაზთა მეთაურს, ამ მრისხანე ომში, კაცური სიტყვის სჯერა და როცა პაპა ივო ეუბნება, ეს ჩემი სტუმრები არიან ჩეჩენი დაჭრილი მეომრები ახმედი და იბრაგიმიო (სინამდვილეში ეს უკანასკნელი ხომ ქართველი ნიკოა), ის უყოყმანოდ იჯერებს და კაცური კეთილი ღიმილით გამოჯანმრთელებას უსურვებს მათ.

ღიმილის თემა იმიტომ ვახსენე, რომ, როდესაც 2002 წელს მე ყველასთვის საყვარელ ტელეჟურნალისტს გიორგი სანაიას ხსოვნას დიდი გამოფენა მივუძღვენი: „დედის ცრემლები და ჩაუმქრალი სანთლები“ (იხ. წიგნი „გ.სანაიას განუმეორებელი ღიმილის საიდუმლო“ – ნ.მუმლაძე. თბილისი. 2002წ.), შევამჩნიე, რომ ყველა სურათზე ის იღიმოდა (სევდიანი, ჩაფიქრებული, შორს მომზირალი და სხვ.).

გამოვიკითხე მეგობარ-ნათესავებში და იცით რას მივაკვლიე? იგი ყველას ძალიან უყვარდა და მასაც ყველა ძალიან უყვარდა, ანუ მტერი არა ჰყავდა.

შემდეგ ჩავუჯექი დიდი ფილოსოფოსების: კონფუცის, მოცის, ქსენოფანის, ზენონის, დემოკრიტის, ლევკიპის, პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს რუსთაველის, ომარ-ხაიამის და სხვა უდიდეს ფილოსოფოსთა აზრებსა და კვლევებს ადამიანის ემოციების შესახებ და მივაგენი ღიმილის საიდუმლო ფორმულას, ანუ: „გიყვარდეს ყველა და უყვარდე ყველას!“

თუ თითოეული ჩვენგანი ამ უძველეს ბრძნულ, დარიგებას გავითვალისწინებთ, დამიჯერეთ, რომ ჩვენც ღიმილი არასოდეს არ მიგვატოვებს!

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფილმის მაყურებელსაც და მის გმირებსაც ღიმილის გრძნობა არასოდეს არ დაგვტოვებს, რადგანაც ყველა ეს ხალხი ღმერთმა სიყვარულისთვის გაგვაჩინა და დღეს თუ ხვალ რუსიც აუცილებლად გაიღიმებს და დაიბრუნებს ღმერთისა და კაცის სიყვარულს!

დაბოლოს, ჩემო მკითხველო: „ოსკარის“ პრემიის მიმნიჭებელ კომპანიას ამერიკაში ერთ რამეს ვურჩევდი: „მანდარინების“ ყურებისას არ გამოეპაროთ ის ღიმილები, რომლებიც ადამიანებში სიყვარულით არიან ჩადუღაბებული, და მათი წაშლა სიკვდილსაც კი არ შეუძლია, ანუ დღესაც ძალზედ აქტუალურია ფორმულა: „გიყვარდეს ყველა და უყვარდე ყველას“, ე.ი. დამიჯერეთ, რომ „ოსკარი“ ჩვენია.

ნიკო მუმლაძე,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი.

4 თებერვალი 2015წ.

◎ ალიან-ჩალიანი

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნებს სამოქალაქო განათლება დაემატა

როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, უმაღლესი სასწავლებელი თავად წყვეტს, რომელი იქნება მეოთხე სავალდებულო გამოცდა, რომ აბიტურიენტი კონკრეტულ ფაკულტეტზე და მიმართულებაზე ჩაირიცხოს.

მისივე ინფორმაციით, 1 227 საკონკურსო ადგილზე უმაღლესმა სასწავლებლებმა სამოქალაქო განათლება სავალდებულო საგნად გამოაცხადეს, რაც, მიმინოშვილის შეფასებით, ძალიან კარგია. მისივე განმარტებით, უმაღლეს სასწავლებლებს შესაძლებობა აქვთ, კონკრეტულ ფაკულტეტსა თუ პროგრამაზე აბიტურიენტის ჩასარიცხად არა ერთი, არამედ რამდენიმე საგამოცდო საგანი გამოაცხადონ. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას აბიტურიენტი იღებს.

დღეისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას აბარებენ – ქართული ენა და ლიტერატურა, უნარები და უცხო ენა, ხოლო არჩევითი საგნების რაოდენობა აქამდე რვას შეადგენდა. არჩევითი საგნების ჩამონათვალი ასეთი იყო: ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ხელოვნება. წელს კი, არჩევით საგნებს მეცხრე – სამოქალაქო განათლება დაემატა.

კიდევ ერთი სიახლე უკავშირდება გეოგრაფიის გამოცდას, კერძოდ, ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო, 3 საათის ნაცვლად, 2.30 საათი იქნება. ტესტის მაქსიმალური ქულა კი, 70-ის ნაცვლად, 60 ქულა. ამასთან, ისტორიის ტესტი 80-ის ნაცვლად 70-ქულიანი იქნება, არ შეიცვლება გამოცდის ხანგრძლივობა.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაცია დღეს 10:00 საათიდან დაიწყება. მაია მიმინოშვილის განცხადებით, პროცესში მონაწილეობს 64 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი, გამოცხადებულია 44 635 საკონკურსო ადგილი, თუმცა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის განმარტებით, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ადგილი შეივსება.

ინტერპრესი

რას ეუბნებიან რეგიონს რუსეთ-თურქეთის შეთანხმება?

ერთ-ერთ წინა სტატიაში ჩვენ შევეხეთ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას, რომელმაც შესაძლოა, სერიოზული გავლენა იქონიოს რეგიონში ძალთა გადანაწილებაზე. რუსეთის მიერ „სამხრეთ ნაკადზე“ უარის თქმა და თურქეთის მიმართულებით გადამისამართება, სწორედ ის ენერგეტიკული ალიანსია, რომელიც თავსატკივარს უჩენს როგორც აშშ-ს, ისე ევროკავშირს. სწორედ აქედან გამომდინარე იყო ევროკავშირის კომისრების ელვისებური ვიზიტი ანკარაში, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის პუტინის კვალდაკვალ განხორციელდა.

ევროკავშირის დელეგაციამ, ქალბატონ მოგერინის ხელმძღვანელობით, რა არ შესთავაზა თურქეთის ხელისუფლებას, ნაცვლად იმისა, რომ თურქეთს უარი ეთქვა რუსეთთან ურთიერთობაზე. არ გამოვიდა. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა დაიცვა თურქულ-რუსული შეთანხმება და განაცხადა, რომ პროექტი თურქეთის ინტერესს ემსახურება.

ევროსაბჭოს დელეგაციამ ისიც განაცხადა, თუ თურქეთი დათანხმდება რუსეთთან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, ევროკავშირი, თურქეთს, უდავოდ გააწევრიანებს ევროკავშირში – 5 წლის შემდეგ.

მოსკოვ-ანკარის შეთანხმებამ დიდი აურზაური გამოიწვია როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში. ხუმრობა საქმე არაა, ორი დიდი სახელმწიფოს ენერგეტიკული ალიანსი და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დაახლოება. ორი ქვეყნის თანამშრომლობის სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, კარდინალურად შეიცვლება მათი მიდგომები როგორც რეგიონის, ისე კავკასიის საკითხებისადმი.

რუსეთ-თურქეთის ენერგეტიკული თანამშრომლობა და პოლიტიკა რომ საქართველოსაც შეეხება, ფაქტია, თუმცა, რა დოზით და როგორ, მომავალი გვიჩვენებს. მომავლისთვის კი საქართველო მზად უნდა იყოს, ვინაიდან რუსულ-თურქული კავშირი ნიშნავს რუსულ-თურქულ-აზერბაიჯანულ და სომხურ კავშირსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ირანზე.

ირანს თავისი ინტერესები აქვს კავკასიაში, რაც არ არის გასაკვირი. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები ირანსა და ამიერკავკასიას შორის, ირანისთვის იოლი დასავიწყებელი არ არის და ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს პოლიტიკამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ისეთ მტრულად განწყობილ სამეზობლოში აღმოვჩნდეთ, რომ ვერც ვაშინგტონმა გვიშველოს და ვერც ბრიუსელმა.

ბალანსირებული, საზრიანი პოლიტიკის განხორციელება მართებს საქართველოს ხელისუფლებას – მეტი აქცენტების გაკეთება მეზობელ სახელმწიფოებზე. ამ თვალსაზრისით, დადებითად შეიძლება შეფასდეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უსუფაშვილის ვიზიტი ირანში. კარგია, რომ ეს ვიზიტი, ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლიდან, 2 წლის შემდეგ განხორციელდა და ცუდია, რომ – ორი წლის დაგვიანებით.

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი კარგია, მაგრამ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ქვეყნის პირველი პირის ვიზიტი. ამ მხრივ, როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის ხელისუფლებას წუნს ვერ დასდებთ. უნდა ვიმედოვნოთ, რომ უსუფაშვილის ვიზიტს უდავოდ მოჰყვება ქვეყნის პირველი პირის ვიზიტი და იმ საქმიანი ურთიერთობის აღორძინება, რაც „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლამდე იყო.

უსუფაშვილი დაჰპირდა მასპინძლებს, შექმნილი ვითარების გამოსწორებას და ისიც აღნიშნა – ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ევროპის ასოცირებულმა წევრობამ გამოიწვია ყოველივეო.

რამდენად დიპლომატიურია საკუთარი შეცდომის სხვაზე გადაბრალება, მკითხველმა განსაჯოს. რაც შეეხება მასპინძელთა აღქმას, სხვისკენ თითის გაშვერის გამო, არ იქნებოდა ქართული დელეგაციის გასახარი. აღმოსავლური დიპლომატია სხვა გამოცდილებას ეფუძნება და მისი იოლად მოტყუება ძნელია. ასე, რომ მასპინძელთა თვალში სხვისი ბრძანებით მოქმედი საქართველო რომ უსუსურ შთაბეჭდილებას დატოვებდა, ცხადია.

რა გაეწყობა, ასეთია დღევანდელი ჩვენი პოლიტიკა და დიპლომატია. და ასეთი რომაა, სხვა ნიუანსიდანაც გამოჩნდა. ირანის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან ლაპარაკისას, სტუმარმა რუსეთის ანექსიაზე და, საერთოდ, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე დაიწუწუნა. მკითხველი იკითხავს – „მერე რა, რაც არის, ის თქვაო“. დიახ! რაც არის ის თქვა, მაგრამ იქნებ ართქმა სჯობდა თქმას?

ოფიციალური ვიზიტების დროს დელეგაციის ხელმძღვანელი სარგებლობს იმ სასაუბროთი, რომელსაც საგარეო უწყება ადგენს. როგორც ჩანს, ამ მხრივ, უწყებაში, მთლად გამართულად არ უნდა იყოს საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე თავს რუსეთის დაბეზღების უფლებას არ მისცემდა მის სტრატეგიულ პარტნიორთან.

ახლა კი შევეხოთ იმ საკითხის მეორე მხარეს (მედლის მეორე მხარე), რასაც რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება ჰქვია. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ პროექტი „თურქული ნაკადისა“ ჯერჯერობით ქაღალდზეც არ არის. ის, რაც ანკარაში ითქვა პუტინის ვიზიტის დროს – დამუშავების პროცესშია და ვიდრე საბოლოო სახით პროექტს მზის სხივი შეეხება, აქტიურობს ჯგუფი ექსპერტებისა, რომლებიც თვლიან, რომ რუსეთ-თურქეთის პროექტი, რუსეთისთვის წამგებიანი იქნება.

ვიდრე შევეხებით ამ საკითხს, აღვნიშნავ იმას, რომ ირანისადმი დამოკიდებულება ოფიციალური მოსკოვის მხრიდან იყო და ჯერჯერობით არის ისეთი, საშუალოს რომ დაარქმევ. მოსკოვი, ირანს არაჯეროვნად იხილავდა წლების განმავლობაში. არადა, ჩემი აზრით, რუსეთისთვის ირანი სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც ძალუძს მტკიცე პრო-რუსული საზღვრები შექმნას სამხრეთში.

ისლამური ირანი, მრავალპოლუსიანობის მხარდამჭერი და აშშ-ის ჰეგემონიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, სწორედ ის სახელმწიფოა, რომელსაც მჭიდრო თანამშრომლობა უნდა ჰქონდეს რუსეთთან – ამერიკის ჰეგემონიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყანასთან. ამერიკა-რუსეთს შორის ბოლო წლების გართულებულმა ურთიერთობამ, ანტირუსულმა სანქციებმა აიძულეს რუსეთი, საღი თვალით შეეხედა მისი მეზობლებისთვის, მეტადრე იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დადებითად არიან განწყობილი მის მიმართ.

ამ ქვეყნების ჩამონათვალში ირანს მოწინავე ადგილი უკავია. 80-მილიონიან სახელმწიფოსთან – ეკონომიკურად ძლიერთან, ახლო აღმოსავლეთში დიდი გავლენის მქონესთან, პრეზიდენტ პუტინის დამოკიდებულება იცვლება და იცვლება პოზიტიურობისკენ. რუსეთ-ირანის თანამშრომლობა ენერგეტიკაში, განსაკუთრებით ბირთვულში, სამაგალითოა. მაგრამ მარტო ენერგეტიკით შემოფარგვლა არ ეგების. სწორედ ამას ითვალისწინებს კრემლი, რომელმაც საგანგებოდ აფრინა ირანს თავდაცვის მინისტრი შოიგუ. შედეგი – ორივე მხარისთვის სასარგებლო ჩანს. სამხედრო მშენებლობის დარგში ერთობლივი პროექტების განხორციელება, ირანის მიერ რუსული სამხედრო ტექნიკის შეძენა და ა.შ.

გარდა სამხედრო დარგისა, ირანი საინტერესოა ტვირთების გადაზიდვის თვალსაზრისით. რუსეთს, ირანის ტრანზიტით შეუძლია, ექსპორტ-იმპორტის ამოქმედება აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებთან. ვითარების პრაგმატულად შეფასების შემთხვევაში, საქართველოც შეძლებს ამ პროექტში მონაწილეობას, თუკი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი აღდგება.

მოსკოვში ზოგიერთი თვლიდა და თვლის, რომ მეტოქეა ირანი რუსეთის გაზის ექსპორტში, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ირანი დღე-ღამეში 28 მილიონ კუბურ მეტრ გაზს აწვდის თურქეთს, ანუ წელიწადში 10 მილიარდ კუბურ მეტრს. რუსეთი კი – 25.99 მილიარდ კუბურ მეტრს. რუსული გაზი თურქეთს 425 დოლარი უჯდება 1000 კუბ. მეტრზე, ირანული კი – 490. ანკარა სისტემატურად სთხოვდა თეირანს გაზის ფასების შემცირებას, თუნდაც აზერბაიჯანული გაზის ფასებამდე – 335 დოლარი. თეირანი არ დათანხმდა, ვინაიდან ფასის დაკლებით, რუსეთი იძულებული შეიქნებოდა დაეკლო ფასები. „ჩვენ არ გვინდა, ვიყოთ რუსეთის კონკურენტები“, – განაცხადა ირანის მრეწველობის, წიაღისეულისა და ვაჭრობის მინისტრმა მოჰამედ ნემატზადემ.

გასული წლის შემოდგომაზე ამერიკამ შესთავაზა ირანს, სანქციების ნაწილობრივი გაუქმების ფასად, აზერბაიჯანის „ენერგეტიკულ დერეფანში“ მონაწილეობა, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის გაფართოება. ირანმა უარი თქვა პროექტში მონაწილეობაზე, რუსული ინტერესების გათვალისწინებით.

ირანის მონაწილეობის შემთხვევაში, არა მარტო ალჟირ-ლიბიას შეექმნებოდა კონკურენცია, არამედ რუსულ გაზსაც. ირანი არ წავიდა ამაზე, რითაც გაანაწყენა ვაშინგტონი, იმან კი, თავის მხრივ, გაამკაცრა პოზიციები, ვენის მოლაპარაკებაზე გაეროს 5 მუდმივ წევრ გერმანიასა და ირანს შორის.

ურთიერთობა ირანსა და თურქეთს შორის ისეთია, გამუდმებულ ეჭვს რომ იწვევს თეირანში. მთელ რიგ საკითხებში მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. ირანი სირიის სტრატეგიული პარტნიორია, თურქეთი კი დღენიადაგ იბრძვის ბაშარ ასადის ხელისუფლების დასამხობად. ირანი კატეგორიულია „ისლამური სახალიფოს“ მიმართ და სურს მისი განადგურება, თურქეთი – უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვალის დახუჭვის პოლიტიკას ადგას.

ირანი გაზს აწვდის თურქეთს, მაგრამ არ ზრდის მოცულობას, ვინაიდან მაინც ეჭვის თვალით უყურებს ანკარას – ნატოს წევრს და ვაშინგტონის მოკავშირეს. ირანს სურდა, თურქეთის გვერდის ავლით გაზსადენი გაეყვანა ერაყის გავლით სირიაში, იქიდან კი ევროპაში, რისი წინააღმდეგი არა-მარტო თურქეთი, არამედ აშშ-იც იყო. დღეს ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია – სადაც გაზსადენს უნდა გაევლო, „ისლამური სახალიფოა“.

თუ ვინმე ღებულობს მოგებას „ისლამური სახალიფოს“ მიერ გაჩაღებული ომიდან, თურქეთია. ეს ქვეყანა დემპინგურ ფასებში იღებს „სახალიფოდან“ მოწოდებულ ერაყულ ნავთობსა და გაზის კონდენსატს და თურქეთის პორტებიდან საექსპორტოდ გააქვს.

რაც შეეხება რუსეთს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთისთვის თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა ისეთი იქნება, როგორიც უკრაინის. დასავლეთისთვის ანკარა რუსული სეპარატიზმისა და ისლამიზმის შეუცვლელი ცენტრია. გარდა ამისა, ევროკავშირსა და ვაშინგტონს გაცილებით მეტი ბერკეტი აქვთ თურქეთთან მიმართებაში, ვიდრე მოსკოვს ექნება.

რუსეთ-თურქეთის ენერგეტიკული კავშირის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ მოსკოვი, რომელიც საკუთარი ხელით გადააქცევს თურქეთს ენერგეტიკულ გიგანტად, მისცემს რა მას საკუთარ ევროპულ ბიზნესს, ენერგეტიკულ პოლიტიკას, ვეღარ გაუწევს კონტროლს თურქეთის ხელისუფლებას. ახალ სტატუსში უკვე თურქეთი წაუყენებს პრეტენზიებს ბრიუსელს და არა პირიქით, როგორც დღეს.

გასათვალისწინებელია თურქეთის პოზიციაც ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში. უპირველესად, მისი ანტაგონისტური დამოკიდებულება სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიმართ. თურქეთი ხელს უწყობს რადიკალურ ისლამს და, აქედან გამომდინარე, პირდაპირ თუ ირიბად – „ისლამურ სახალიფოს“, რაც რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის არცთუ სახარბიელოა.

ანკარის ლოიალურობა „სახალიფოს“ მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში ხელის დაფარება, სპეციალისტთა აზრით, ნეოისლამიზმის გამოვლინებაა, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის არა მარტო ცენტრალურ აზიას, არამედ კავკასიას. თურქეთის გაძლიერებასთან ერთად, გაძლიერდება აზერბაიჯანის გავლენაც, რაც თავისთავად სახიფათო იქნება სომხეთისთვის. აზერბაიჯანის გაძლიერება დაარწმუნებს მას სომხეთთან ომში გამარჯვებაში. ომის შემთხვევაში კი რუსეთი განზე ვერ დარჩება.

თურქეთის გაძლიერებით, დასუსტდება ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური პოზიციები. ირანი კი დღეს აბალანსებს რეგიონის ვითარებას. გეოპოლიტიკურად დასუსტებული ირანი, თურქეთის პარტნიორ რუსეთს კი აღარ მიმართავს, არამედ დასავლეთს. დასავლურ დახმარებასა და მფარველობას ირანი უმალ მიიღებს, ნაცვლად დღევანდელი დამოუკიდებელი პოლიტიკისა და სუვერენიტეტისა. შედეგი გაცილებით მძიმე იქნება, ვინაიდან დამოუკიდებლობის დაკარგვა, უდავოდ გამოიწვევს ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სტრუქტურების ლიბერალიზმით შეცვლას, რაც რუსეთისთვის უმძიმესი შედეგით დასრულდება.

გადასავლეთებული ირანი აღარ იქნება ის ანტიამერიკული ფარი, რომელიც რუსეთს სამხრეთიდან იცავს. დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს, ირანის გადაბირებით, არაბულ ქვეყნებთან ერთად, შეუძლია, უკრაინის ფრონტის გარდა, სამხრეთიდან გაუხსნას ახალი ფრონტი რუსეთს.

რას იზამს თურქეთი? ის, უდავოდ გახდება ისლამური სამყაროს ლიდერი. თურქეთის პოლიტიკოსების ამბიციებიდან გამომდინარე, რეგიონში შეიქმნება დისბალანსი, რომელიც არანაირად არ წაადგება რუსეთის ინტერესებს.

კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ თურქეთი ნატოს წევრია და, აქედან გამომდინარე, მისი პირდაპირი ხელმძღვანელი აშშ-ია. აშშ-ს „სამხედრო დოქტრინის“ მთავარი ამოცანა რუსეთის დასუსტება და დაშლაა. ამერიკა არ ფარავს, რომ ამ საქმის განხორციელებაში ნატო უნდა იყოს ჩართული. ასე, რომ თურქეთს უნდა თუ არა, მაინც იქნება ჩართული რუსეთის წინააღმდეგ შემუშავებული ამერიკული გეგმის განხორციელებაში.

აქვე დავძენ, საქართველოს ნატოში გაწევრება, თავისთავად ნიშნავს დასავლეთის პოლიტიკის უყოყმანოდ შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაშინგტონ-ბრიუსელი აამოქმედებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს, რაც ძვირად დაუჯდება ჩვენს ქვეყანას.

ნატო, ევროკავშირი ის ორგანიზაციებია, რომლებიც თავიდან ბოლომდე უზრუნველყოფენ საკუთარი გეგმებისა და დიქტატის წევრი სახელმწიფოების თავზე მოხვევას, შემორჩენილი სუვერენიტეტის გაბათილებას. ბრიუსელის წევრი სახელმწიფოებისადმი ამგვარი მიდგომა იწვევს უდიდეს უკმაყოფილებას ევროკავშირსა და ნატოში.

ასე რომ, ვიდრე გვიან არ არის და ვიდრე ბოლომდე არ დავუკოდივართ, სხვა პოლიტიკას უნდა მივმართოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ისე გაქრება უკიდეგანო, თანაც ამბიციურ კავშირში, როგორც გრამი ყველი ხაჭაპურში. და არა მარტო საქართველო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რუსეთიც, თუ არ გადადგამს გონივრულ ნაბიჯს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ რას ფიქრობს ხალხი

მთავრობას რეიტინგი გაექცა?!

ამ საუბარს, რომლის შინაარსსაც ქვემოთ გაეცნობით, კახეთის ერთ ძირძველ სოფელში შევესწარი. იმ საღამოს კარის მეზობლებმა კარლო გრძელიშვილმა და ზაქრო არაბულმა (მეტსახელად ბისკვიტამ) ზამთრის ამ გრძელ ღამეში უსაქმო ძილს საქმიანი სჯა-ბაასი ამჯობინეს და პატარა ჭიქით საფერავის წრუპვას გვიანობამდე შეჰყვნენ. მე თქვენ გეტყვით, დალაგებულ ქვეყანაში უწევთ ცხოვრება და სალაპარაკოს ვერაფერს გამოძებნიდნენ.

— კარლო, კაცო, ეს სადღეგრძელოები რო წაიყარე და წააყარე, — საყვედურობს ზაქრო, — მთავრობისა არ უნდა გეთქვა?

— მოგცლია ერთი, კომუნისტური ხანის ტრადიციებმა რა ხანია, ჩაილურის წყალი იგემეს. აბა მიიხედ-მოიხედე, დღეს რომელ დემოკრატიულ ქვეყანაში სვამენ მთავრობის სადღეგრძელოს?

— შენ სხვას რას უყურებ, ჯო, ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და დემოკრატები ვართ თუ ბიუროკრატები, ტრადიციას მაინც არ უნდა ვუღალატოთ.

— აი, ლარი რო არ გაქცეოდათ, მთავრობას კიდევ რაღაცას მოვუხერხებდი, — თავს იმართლებს კარლო, — მაგრამ ახლა რა პირით ვადღეგრძელო? თანაც მარტო ლარი ხო არ არი, აგე, ლართან ერთად, რეიტინგიც გაექცათ!

— მაშინ ბიძინას სადღეგრძელო მაინცა ვთქვათ, ძმაო, რას ვერჩით, თავადვე ამბობს, სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე პირადად რეიტინგი ჭარბადაცა მაქვსო.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ცხოვრება-ქონებისა რა მოგახსენო (ბიძინა მილიარდერია), თორემ ისე „ოცნებისა“ და ივანიშვილის რეიტინგები რამ გაყო, ისინი ერთმანეთს ტუპისცალივითა ჰგვანან.

— ეჰ, — ამოიოხრა ბისკვიტამ, — ბედის ირონიას რა ვუთხარი, თორემ გახსოვს, ოცნებელები ვიდრე სკამებზე წამოსკუპდებოდნენ, როგორი რეიტინგი ჰქონდათ? ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, იმსიმაღლიდან კრამიტი ასე უცებ რატო დაუცურდათ?

— რა დიდი მიხვედრა მაგას უნდა, ჯო, — თვალი დაიელმა კარლომ.

— ახლა არ დამიწყო ნაცებივით, რომ მეოცნებენი უხერხემლო, უნიათო და უტვინო მმართველები არიანო.

— არიან და რა ვქნა, — მხრები აიჩეჩა თანამოსაუბრემ, — იმდენ სიცრუე-ტყუილში, რითაც ნაცებმა მთელი ათწლეული გვაცხოვრეს, ერთი სიმართლე ძლივს გამოურიეს და ესეც არ დავიჯერო?

— რა სიმართლეზე მელაპარაკები?

— იმ სიმართლეზე, რომელსაც „ოცნება“ თავიდან კი გვპირდებოდა, მაგრამ გახელისუფლების შემდეგ იმდენი იბედოვლათეს, რომ საკუთარ სიმართლეზე ნაცბანდის ბილწ სიცრუეს გაამარჯვებინეს. ახლა უკვე არც თუ ცოტა ვინმემ დაიჯერა, რომ ნაცების სიცრუე სიმართლეა და „ოცნების“ სიმართლე — სიცრუე.

— ამიტომაც მიგვდის საქმე ალჩუზე, არა?

— აბა როგორ, ვერ ნახე, ამას წინათ ჩვენმა პირველმა დიპლომატმა ამერიკიდან რუსეთს როგორი სილა გააწნა?

— მე თუ მკითხავ, ქალბატონმა ბერუჩაშვილმა სილა რუსეთს კი არა, ჩვენ, გლეხობას გაგვაწნა. რუსეთის ბაზარზე ბოლო წლებში რაღაც ორი შაური ვიშოვეთ და ჩვენი მთავრობის ინიციატივით ის ბაზარი ახლა ისევ თუ ჩაიკეტა, მერე მინისტრის განცხადებით ნასიამოვნები ამერიკა გვიშველის?

— აბა როგორ გინდა, ჩემო ძმაო, ჩვენმა პოლიტიკოსებმა ისევ ჩვენ ხარჯზე უნდა დაიწერონ ქულები, თორემ უცხოელები მაგათ რას ახეირებენ.

— ქულებზე გამახსენდა, — მოსვა ყლუპი ღვინო ბისკვიტამ, — მაგ თახსირ სააკაშვილს აქედან კი ამოვაძუებინეთ კუდი, მაგრამ უცხოეთიდანაც რო არ გვასვენებს? ის არ იკმარა, რუსეთს აგვისტოს ომში რაც აქ ბიჭები ჩაახოცინა და ახლა კიდევ უკრაინაში ისევ რუსეთთან საომრად მოუწოდებს.

— კარგად ურჩია ივანიშვილმა მაგ მართლაც ქვეყნის მაოხრებელ გზირს: ნაცებს თუ რუსეთთან ომი გსურთ, უკრაინაში საომრად თქვენი შვილები გაგზავნეთო. მე დავამატებდი, შვილები თუ ჯერ უწლოვანები არიან, თავად აიღონ იარაღი და იბრძოლონ.

— აბა კაცო, — მხარი აუბა მეზობელმა, — მე შენ გეტყვი, სააკაშვილს ხოხვის გამოცდილება არა აქვს (გორის ინციდენტი გავიხსენოთ). თუ მაგას უკრაინაში ომის წინა ხაზზე გაუშვებენ, მერწმუნეთ, ორ კვირაში კრემლს სულ ფორთხვა-ფორთხვით აიღებს. აკი დაიმედა კიდეც სააკაშვილმა მშვიდობისთვის მებრძოლი ევროპა: მისცეს ამერიკამ უკრაინას სუპერთანამედროვე იარაღი და ის პუტინის რუსეთს რამდენიმე დღეში დაიპყრობსო (ეტყობა, სააკაშვილის მთავარსარდლობით!).

— აბა, რას ამბობ, პოროშენკო მაგას წინა ხაზზე გასაგზავნად როგორ გაიმეტებს. ხო ვნახეთ, საკაშვილის ნაცბანდის რჩეულები, რომელთაგან ერთნი უკვე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებიან, ზოგი მინისტრად დაისვა, ზოგი — მრჩევლად, ზოგიც სამომავლოდ შემოინახა.

— ძმაო, რა მიკვირს იცი? — შუბლი შეჭმუხნა ბისკვიტამ, — მე პოლიტიკაში ჩაუხედავ კაცს, ამ ყველაფერს რო ვუყურებ, სისხლი ძარღვებში მეყინება და მსოფლიოში უპირველესი დემოკრატი ქვეყანა — ამერიკა ასე მშვიდად რატო გამოიყურება?

— ამაში გასაკვირი არაფერია, — დასძინა კარლომ, — უკრაინაში, ისევე როგორც პლანეტის ბევრ სხვა ქვეყანაში, დემოკრატიული რევოლუცია-გადატრიალებები სწორედ ამერიკის სცენარით იმართება და რატომღა უნდა ინერვიულოს?

— აბა, პუტინი რომ ნერვიულობს?

— პუტინი აგრესორია და იმიტომ ნერვიულობს, ჩემო კარგო, თორემ აბა შეხედე დემოკრატ ობამას, როგორი პირღიმილით უძღებს უკრაინის გასაჭირს.

— გინდა თქვა, რომ უკრაინელი ხალხის გვერდში მდგომი ამერიკა, ფაქტობრივად, პოროშენკოს რეჟიმის მხარდამჭერია?

— იჰ, ამერიკისას რას გაიგებ, ჯო, ერთ დროს ის ჰუსეინსა და კადაფთანაც თანამშრომლობდა, ისევე როგორც სააკაშვილთან, მაგრამ მათი წაქცევისთვის ხელი არ შეუშლია.

— კაცო, ეს ბებერი ევროპაც რო ყოველთვის ამერიკის დაკრულზე ცეკვავს, ეს როგორღა უნდა გავიგოთ? ნახე, ჩვენი ლარისა არ იყოს, ევრო როგორი ტემპით უფასურდება, მაგრამ ხმას არავინ იღებს. ვითომ ასეთი ევროპა, რომელსაც საკუთარი თავი ვერ დაუცავს, ჩვენ დამცველად გამოდგება?

— ეგ ჩვენ მთავრობას უნდა ჰკითხო, ჯო, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნა საკუთარ მიღწევად მიაჩნია. მე თუ მკითხავ, ახლა სწორედ ის დრო დადგა, როცა საქართველოს ნატოში გაწევრებაზე ჩვენ თვითონ უნდა ვთქვათ უარი.

— ვითომ რუსული აგრესიის შიშით?

— არა მარტო რუსული აგრესიის, ჩვენი მეგობარი ამერიკული დემოკრატიის შიშითაც...

...იმ საღამოს კახელ გლეხებს სხვა უფრო მტკივნეულ საკითხებზეც ჰქონდათ საუბარი, მაგრამ ყველაფრის სამზეოზე გამოტანას მოვერიდე. რაც გავახმაურე, ისიც იმის იმედით, რომ საქართველოში ევრო-ამერიკული დემოკრატიის მერცხლები — ნაცმოძრაობის ნარჩენები, როგორც თავად აცხადებენ, თურმე, ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებენ და სამომავლო პერსპექტივაში ხალხის აზრის გაზიარება არ აწყენთ.

ოთარ ხუციშვილი

◎ ვინ დაიცავს მეზღვაურთა უფლებებს?

ტრეფიკინგი ზღვაში

აფრიკაში, ბენინის რესპუბლიკის ქალაქ კოტანუს ყურეში, 6 თვის განმავლობაში გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი 23 ქართველი მეზღვაურის მდგომარეობის შესახებ ფართო საზოგადოება ინფორმირებულია. მათ თითქმის სულზე მიუსწრეს მაშველებმა, რადგან ჩვენებურებს სურსათის და მტკნარი წყლის მარაგი ეწურებოდათ. დამქირავებელმა ბერძნულმა კომპანიამ მათთან კონტრაქტი შეწყვიტა ისე, რომ ბოლო რამდენიმე თვის ხელფასიც არ გაუცია. პრობლემის მეტ-ნაკლებად მოგვარება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჩვენი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აქტიური ჩარევის შედეგად მოხდა. თუმცა, საქმე ამდენ ხანს არ გაგრძელდებოდა, ქვეყანაში მეზღვაურთა ყოფით მდგომარეობაზე პასუხისმგებელი სერიოზული ორგანო რომ არსებობდეს.

ეს პრობლემა ახალი არ არის. ჯერ კიდევ 2010 წლიდან ვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომ საქართველო საერთაშორისო საზღვაო შრომის კონვენციას მიერთებოდა, მაგრამ ნაცებმა ჩვენი მოთხოვნებისადმი დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინეს. შედეგად, ჩვენი — მეზღვაურთა უფლებები დაუცველია, აცხადებენ საზღვაო-სანაოსნოს თანამშრომლები და იქვე განმარტავენ, რომ დაქირავების თაობაზე მეზღვაური ინდივიდუალურად აწარმოებს მოლაპარაკებებს დამქირავებელთან. ხელისუფლების დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო ქართველი მეზღვაურები მონური შრომისთვის არიან განწირულნი. მეზღვაურთა დამსაქმებელი კომპანიები, ფაქტობრივად ჩვენი მეზღვაურების ტრეფიკინგში არიან ჩართულნი — ამბობენ ნაოსნობის სპეციალისტები.

მეზღვაურთა პროფკავშირების თავმჯდომარე ანატოლი ჩიჟავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში დღიდან დაარსებისა, მეზღვაურთა დამსაქმებელი კომპანიები არ კონტროლდებიან. ჩვენთან 34 დამსაქმებელი კომპანიაა. ისინი ვინმე გემთმფლობელს იპოვიან და ჩვენს მეზღვაურს, ვითომ დასაქმებისთვის აგზავნიან, სინამდვილეში კი მონური შრომისთვის იმეტებენ. დამსაქმებლისგან ჩვენი „დამსაქმებელი“ კომპანიები სერიოზულ მოგებას ნახულობენ, თვითონ კი არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ საზღვარგარეთ წასულთათვის შექმნილ პრობლემებზე, ამბობს ჩიჟავაძე და იქვე განმარტავს, რომ, თუ დამსაქმებელს მეზღვაურთა პროფკავშირებთან ხელშეკრულება აქვს დადებული, მეზღვაური, ყოველგვარი გართულებებისგან დაცული და დაზღვეულია.

თუ ჩვენ დასაქმების მსურველები მოგვმართავენ, იმათ ვაძლევთ ინფორმაციებს ამა თუ იმ გემთმფლობელზე, მოსალოდნელ სირთულეებზე და ა. შ. მაგრამ, რიგი სატრანსპორტო კომპანიებისა, სამწუხაროდ, ჩვენთან არ თანამშრომლობენ...

ანატოლი ჩიჟავაძე გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს, რომ აუცილებლად შემოწმდეს დამსაქმებელ საზღვაო-სატრანსპორტო კომპანიათა ლიცენზიები, რომლებიც ბევრ მათგანს საერთოდ არ გააჩნია.

საზღვაო სანაოსნოს სპეციალისტი, იურისტი ზაალ ბედია განგვიმარტავს, რომ, მიუხედავად იმისა, საქართველო არის თუ არა მიერთებული საერთაშორისო საზღვაო შრომის კონვენციას, ჩვენს ქვეყანას ორმხრივი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საზღვაო სახელმწიფოებთან, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას აღნიშნულ კონვენციაზე ხელის მომწერია, ჩვენს მხარესაც ავტომატურად იგივე უფლებები და მოვალეობები ეკისრებათ, რაც კონვენციას მიერთებულთ, ამტკიცებს იურისტი ზაალ ბედია.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში მეზღვაურთა უფლებები დაუცველია.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

სავარჯიშოების კრებული მშობლებისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ 45-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს მშობლებისათვის განკუთვნილი აქტივობებისა და სავარჯიშოების კრებული გადასცა .

აღნიშნული კრებული საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მომზადდა. გამოცემა მოიცავს კითხვისა და მათემატიკის განმავითარებელ აქტივობებს. როგორც თამარ სანიკიძემ განაცხადა, კვლევებით დადასტურებულია, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებას განსაზღვრავს. „კრებული თავიდან ბოლომდე სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობაზეა ორიენტირებული. ეს არის მშობლისთვის ზუსტი ინსტრუქცია, როგორ შეიძლება იგი სახლში ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ნატოში შესასვლელად მზად არის

თბილისი ამტკიცებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სასწავლო ცენტრი არ არის მოსკოვის წინააღმდეგ მიმართული

51-ე მიუნხენის კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და მასთან მყოფმა მთავრობის წევრებმა გამართეს რამდენიმე შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს წარმომადგენლებთან. ყველა ეს შეხვედრა მიეძღვნა თბილისისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთდამოკიდებულებას და მოწმობს საქართველოში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გაძლიერების შესახებ. მომხდარი მთლიანად ეხამება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგიას 2015 წლისთვის, რომელშიც საუბარია ვაშინგტონის მიერ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს აბსოლუტურ მხარდაჭერაზე ნატოსთან თანამშრომლობის საკითხებში.

მიუნხენში ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ახალი ცენტრის პრეზიდენტს რიჩარდ ფონტიენს და ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს მიშელ ფლურნიოს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარეს მადლენ ოლბრაიტს, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური კავშირის ვიცე-პრეზიდენტს დეიმონ უილსონს. მოლაპარაკების პროცესში საქართველოს მხარემ მიიღო დადასტურება ყოველმხრივ მხარდაჭერაზე თავის ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებში და მოისმინა უამრავი კომპლიმენტი კურსის უცვლელობის გამო, რომელიც გამოაცხადა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ ქვეყნისა, და განსაკუთრებით გადაწყვეტილებისთვის — მოახდინოს თავის ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის რეგიონალური მასშტაბის პროექტის რეალიზება.

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ცნობის თანახმად, შეხვედრებზე საუბარი შეეხებოდა ასევე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მდგომარეობასთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ინფორმაციაში მითითებულია, რომ დასავლეთის წარმომადგენლებმა **„გამოხატეს შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთთან ეგრეთ წოდებული სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერასთან და ცხინვალის რეჟიმთან ანალოგიური დოკუმენტის დაგეგმილ ხელმოწერასთან დაკავშირებით“**. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა გლობალური უშიშროება, საქართველოს წვლილი საერთაშორისო სამხედრო და ჰუმანიტარულ მისიებში, კრიზისი უკრაინაში.

შეხვედრები და მოლაპარაკებანი მიუნხენში გახდა საქართველოს წარმომადგენელთა შეხვედრების ლოგიკური გაგრძელება ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში, სადაც გასულ კვირას გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა თავდაცვის მინისტრების დონეზე. პრესკონფერენციაზე, რომელიც

კომისიის სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ **„საქართველო არის ალიანსის ძალიან ახლო და ძლიერი პარტნიორი და მას შეაქვს თავისი წვლილი საერთო უშიშროების უზრუნველყოფაში“**.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაეხმარება საქართველოს, შექმნას თავდაცვის უფრო თანამედროვე სისტემა, რაც დააახლოებს მის შესვლას ორგანიზაციის რიგებში. ნატოს გენერალურმა მდივანმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის შექმნის პროექტს, რომელშიც ალიანსის ჯარები, საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალები შეძლებენ, მოაწყონ ერთობლივი სწავლებები და გაიარონ მომზადება. **„საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორი ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ამ ცენტრში მოამზადებენ თავიანთ სამხედროებს“**, — თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრენინგ-ცენტრის შექმნის პროექტს ალიანსის ათობით ქვეყანამ დაუჭირა მხარი, რომლებიც მზად არიან, გამოყონ სასხრები მისი რეალიზაციისთვის. **„ეს არის მკაფიო სიგნალი იმისა, რომ ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს“**, — გააკეთა რეზიუმე იანს სტოლტენბერგმა.

საკვანძო ქვეყანა ნატოს სწავლებებში საქართველოს ტერიტორიაზე ცენტრის შექმნის შემდეგ, როგორც ბლოკის გენერალური მდივნის სიტყვებიდან მოჩანს, იქნება ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე საკვანძო ქვეყნად, რომელსაც აქვს ურთიერთობა მომავალ ცენტრთან, რომლის ფუნქციონირებაც უზრუნველყოფილი იქნება მთლიანად ნატოს ათი ქვეყნის მიერ, გახდება თურქეთი. ვარაუდობენ, რომ სწორედ იგი შეიტანს უდიდეს წვლილს პროექტის რეალიზაციასა და მის შემდგომ ფუნქციონირებაში აუცილებელ დონეზე. ეს ინფორმაცია დაადასტურეს თურქეთის საელჩოში საქართველოში, აღნიშნეს ამასთანავე, რომ „თურქეთი არის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერ უჭერს მხარს საქართველოს შესვლას ნატოში“. ამასთან ერთად ჩნდება კითხვა: ხომ არ გააუარესებს ანკარის ასეთი აქტიური პოზიცია მის ურთიერთობებს მოსკოვთან, რომლებსაც უკანასკნელ პერიოდში ახასიათებენ, როგორც ლამის სამოკავშირეოს? პასუხი, შეიძლება, ვეძებოთ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის განცხადებაში, რომელიც რადიო „თავისუფლებასთან“ გააკეთა. მან, კერძოდ, თქვა, რომ საქართველოსთან ნატოს ერთობლივი ცენტრი არ იქნება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. **„ეს იქნება სასწავლო ცენტრი, რომელშიც შეიძლება გამოიყენო საუკეთესო რამ საბრძოლო გამოცდილებისა და წესჩვეულებებისგან. ჩვენ ვიცით მოსკოვის ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ ცენტრი მის წინააღმდეგ არ არის მიმართული“**, — თქვა მან.

რაც შეეხება თავად სასწავლო-საწვრთნელ ცენტრს, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ განაცხადა, იგი, ალბათ, გაიხსნება უკვე მიმდინარე თვის ბოლომდე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ვაშინგტონში ობამა-მერკელის შეხვედრა გაიმართება, რის შემდეგაც გადაწყდება, შეაიარაღებს თუ არა აშშ კიევს

თუ მერკელი აზრს გამოთქვამს ამ ინიციატივის წინააღმდეგ, ობამაც ასევე უარყოფს იარაღის მიწოდებას. ამ შემთხვევაში ამერიკელი ლიდერი, რომელიც სერიოზულ ზემოქმედებას განიცდის, მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ევროპელ მოკავშირეებთან ერთობლივი მოქმედების მნიშვნელობაზე.

* * *

ჩინეთში სიკვდილით დასაჯეს მილიარდერი ლიუ ხანი და მისი ოთხი თანამოაზრე

სასიკვდილო განაჩენი, რომელიც შარშან მაისში გამოიტანეს, აღასრულეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო სასამართლოს დამტკიცების შემდეგ. სულ უდიდესი მაფიოზური დაჯგუფების საქმეზე, რომელსაც დანაშაულებათა მთელი სერია წაუყენეს, გადის 36 კაცი, რომლებსაც სხვადასხვა საციხო ვადები და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მათ შორის, განაჩენის შესრულების გადადებაც.

* * *

აშშ: მალე დაიწყება სახმელეთო ოპერაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო კოალიციაში ჯონ ალენმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ, როდესაც ბაღდადი დაიწყებს სახმელეთო კამპანიას, „კოალიცია გაუწევს ძლიერ მხარდაჭერას ცეცხლით“. მომავალი ოპერაციის დეტალებზე მას არ უსაუბრია, თუმცა, აღნიშნა, რომ ამჟამად ერაყის მოკავშირე ქვეყნების ინსტრუქტორები ამზადებენ ჯარისკაცებსა და ადგილობრივი ტომების წევრებს.

◎ დიდი აბრეშუმის გზა

ძველი დერეფნის ახალი ხედები

(მეოთხე გვერდიდან)

შუა საუკუნეებში, როცა საქართველო აქტიურად იყო ჩართული დიდი აბრეშუმის გზაზე სავაჭრო-საქარავნო მიმოსვლაში, ამ მოღვაწეობას სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა ირანთან, შემდეგ ოსმალეთთან (თანამედროვე თურქეთთან), რუსეთთან. გასული საუკუნის მიწურულსა და ამჟამინდელის დასაწყისში აზიისა და ევროპის შესაყარზე უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა გამოიყენებოდა როგორც ამ ორ უზარმაზარ რეგიონს შორის ტვირთების გადასაზიდად მეტად ხელსაყრელი სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA), რომლის სავაჭრო მდგენელს სტრატეგიულად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ენერგოშემცველების ფართომასშტაბიანი ტრანსპორტირება დაერთო.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს აქტიურად ჩართულობის თვალსაზრისით, ჩვენთვის დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. **საიმისოდ, რომ მის შედმგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას კარგი პერსპექტივა ჰქონდეს, საამისოდ სასიცოცხლოდ აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სერიოზული გაუმჯობესება.** TRACECA პროგრამა აზიის შორეულეთიდან სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის გავლით ევროპისკენ მძლავრი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას ითვალისწინებს, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს. TRACECA-ს სატრანსპორტო დერეფნის ინფრასტრუქტურა სამანქანო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტით ტვირთებით გადაადგილებას ითვალისწინებს, რომლის გასწვრივ სათანადო სამგზავრო და სატვირთო ტერმინალები, საზღვაო ნავსადგურები უნდა იყოს განთავსებული. **ეს დერეფანი დღესდღეობით აქტიურად მოქმედებს: ევროპა-აზიას შორის წლიურმა საქონელბრუნვამ წლის მიწურულისთვის ტრილიონ დოლარს უნდა მიაღწიოს.** აბრეშუმის გზის გასწვრივ მშრალი ტვირთების გადაზიდვების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო 2013 წლის ოქტომბერში ბოსფორის სრუტის ფსკერქვეშ მარმარაის გვირაბის გახსნა. ამის მნიშვნელობა საქართველოსთვის გაცილებით დიდი მას შემდეგ გახდება, რაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივად დაფინანსებული ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა დასრულდება, რომლითაც ყოველწლიურად 20 მილიონი ტონა ტვირთი გადაიზიდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: ზემოთ ითქვა, რომ დიდი აბრეშუმის გზის გარკვეულ მონაკვეთში კასპიის ენერგოშემცველთა ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირების დაწყებამ, ამ უძველესი სავაჭრო-საქარავნე მარშრუტის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო წონადი გახადა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ, საბოლოო ანგარიშით, **ნავთობისა და გაზის მარაგები, რაგინდ მდიდარი უნდა იყოს საბადოებზი, საბოლოო ანგარიშით, ზღვრულია, თავად აბრეშუმის გზის ინფრასტრუქტურის მოქმედება და მისგან მიღებული სარგებელი კი გაცილებით გრძელვადიანია.**

სწორედ ამის გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გამართულ საქართველო-ესტონეთის ბიზნეს-ფორუმზე წამოყენებული ინიციატივა მაღალი დონის ყოველწლიური „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ დაარსების თაობაზე.

— ეს საშუალებას მოგვცემს, დაინტერესებულ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ურთიერთსასარგებლო შეხვედრები გავმართოთ და ამით ხელი შევუწყოთ ისტორიული აბრეშუმის გზის მარშრუტზე ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროებში ახალი პროექტების შემუშავებს, — აღნიშნა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა.

ეს უდავოდ საგულისხმო ინიციატივაა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისათვის ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით მეტად მომხიბლავ პერსპექტივებს შლის.

ოთარ ტურაბელიძე

ხუტას ეშმაკობამ ქართული მწერლობა ასარგებლა

შესრულდა ცნობილი პოეტის, რედაქტორის, გამომცემლის – ხუტა ბერულავას დაბადების 90 წლისთავი... ჰაი, ჰაი, რომ თითქმის არავის გახსენებია ეს თარიღი, არავის გახსენებია ბატონი ხუტა – ნაღდი კოლხი, მუდამ შემართული, ემოციური, რომელსაც არც მტერი აკლდა და არც მოყვარე, იყო კარგი ლექსების ავტორი, ხოლო გამომცემლობა „ნაკადულმა“ მისი ხელმძღვანელობით, მრავალი უნიკალური წიგნი მიაწოდა მკითხველს. რად ღირს თუნდაც „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულისა და საბავშვო ენციკლოპედიის ათტომეულის გამოცემა.

მოხერხებული, წინგამხედავი კაციც იყო ბატონი ხუტა. უფროსი თაობის მწერლები დღესაც ღიმილით ყვებიან, „კეთილი ტყუილით“ როგორ დააჩქარებინა ხუტამ გიორგი ლეონიძეს, შეექმნა წიგნი ერთი-მეორეზე უკეთესი ავტობიოგრაფიული ნოველებისა, საერთო სათაურით – **„ნატვრის ხე“**.

მისულა ერთხელ გამომცემლობაში ბატონი გიორგი, მიშველ ხუტა, ფული მჭირდება, იქნებ, გამიმართო ხელი, ჩემი ბავშვების მოგონებები მინდა, დავწერო, მოგიტან გამოსაცემად და მასში გამომიქვითე ჰონორარიო.

აბა, უარს როგორ ეტყოდა? გამოუწერა ჰონორარი წინასწარ, თუმცა, რახან გიორგი ლეონიძე უკვე კარგად ვეღარ იყო, ერთ-ორ კვირაში ეშმაკურად შეხმიანებია, ბატონო გიორგი, ვიღუპებით, რევიზია შემოვიდა გამომცემლობაში და, როგორმე, სასწრაფოდ უნდა მოიტანოთ თქვენი წიგნიო.

გიორგი ლეონიძე სიტყვას ხომ არ გატეხდა? ასულა წყნეთში, თავის აგარაკზე, ჩაფიქრებული ნოველები სასწრაფოდ გადაუტანია ქაღალდზე და წარუდგენია გამომცემლობისთვის (უკურნებელი სენით დაავადებული, იგი, მართლაც მალე გარდაიცვალა, 1966 წლის ზაფხულში)... და დარჩა საქართველოს გენიალური წიგნი „ნატვრის ხე“.

...ხუტა ბერულავა გაზეთ „კომუნისტის“ ხშირი სტუმარი იყო, მეგობრებიც ჰყავდა ჩვენს რედაქციაში. თუ ლექსს ბეჭდავდა, ბოლომდე იცოდა მიყოლა, რამდენჯერმე უნდა წაეკითხა გაზეთის გვერდი, ეშმაკი აზის სტრიქონსო, იტყოდა, უნებლიე კორექტურის შიში ჰქონდა...

...იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ოღასკურას გახსენება

ჩემი ბავშვობის მდინარე გამახსენა ერთ-ერთმა გაზეთმა – ოღასკურა დაბინძურებული მიედინება ქუთაისშიო.

კამკამა იყო ოღასკურა – სათაფლიიდან გამომავალი პაწუა ღელე, გზაში რომ თანდათან იკრებდა ძალას და ქუთაისის დასავლეთით – ჩემს სოფელზე უკვე გვარიანად გადაედინებოდა, ის იყო ჩვენი საბანაო, მასში ვიჭერდით ღორჯოებს, კიბორჩხალებს... გაზაფხულზე ისეთი მოდიდება იცოდა, მთელი ჩვენი სოფლის კარ-მიდამოებს ფარავდა და ბიჭ-ბუჭობა ოჩოფეხებით დავდიოდით წყლით დაფარულ ეზოებში.

საშველი რომ აღარ იყო, ერთ დღესაც, „ზემდგომების“ განკარგულებით ოღასკურას გვერდით არხის გათხრა დაიწყეს, მდინარე შიგ გადაუშვეს და დაისვენა სოფელმაც, თუმცა ოღასკურას მაინც დარჩა თავისი მარაგი და კვლავაც ჩაედინებოდა გუბისწყალში – რაც მე ოღასკურას შესახებ მოგიყევით, ერთ მშვენიერ ლექსში ჩაატია ძირძველმა ქუთაისელმა, ოღასკურას უბნიდან წამოსულმა „ცისფერყანწელმა“ კოლაუ ნადირაძემ:

ეს ოღასკურა – პატარა ღელე
რარიგ ქცეულა მტბორავ მდინარედ!
მოურწყავს ყანა ახლომდებარე,
აწუხებს სოფელს დაღლილს, მძინარეს,
და ემუქრება წალეკვით ველებს,
ზოგჯერ მის ქვებში
ღორჯოს საჭერად,
ბავშვი რომ ვიყავ,
ვაძვრენდი ხელებს...
ხშირად ვიჭერდი
იქ კიბორჩხალებს,
ვაფრთხობდი ძლოკვით
გოგონებს, ქალებს...

თუ, როგორ წამოატივტივა გონებაში ჩემი ბავშვობა ბატონმა კოლაუმ – შესანიშნავმა პოეტმა და თავისი დროის კოლორიტულმა პიროვნებამ... ღმერთო, გაანათლე მისი სული, ხოლო ახალი თაობის ქუთათურებს ვთხოვ, გაუფრთხილდით ოღასკურას დინებას!

მთავარია ტრადიცია!

აი, მორიგ „სიგიჟეს“ უშვებს ჰოლივუდის რომელიღაც სტუდია. ამჯერად იუპიტერი უნდა აღზევდეს, დედა უნდა უტიროს კაცობრიობას, უნდა მიანგრ-მოანგრიოს ეს ცოდვილი დედამიწა, უნდა დაგვზაფროს, შიში გვაჭამოს... მოკლედ, რაში დახარჯონ ფული, აღარ იციან... ამ დროს, დარწმუნებული ვარ, მთელმა ჰოლივუდმა რომ მოინდომოს, მილიონები რომ ჩადონ, ვთქვათ, ჩვენი მოკლემეტრაჟიანი ფილმების „ქვევრისა“ და „ღვინის ქურდების“ მსგავსს ვარაფერს გადაიღებენ, ამას ტრადიცია უნდა! ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩვენი პაწაწუნა ქვეყნის ტრადიციებს, ენასა და ეროვნებას!

ნინასა და ზალიკოს „წაწლობა“

დამაინტრიგებელი სათაური აქვს ჟურნალ „სარკეში“ დაბეჭდილ ინტერვიუს: **„რას აკეთებენ ერთ საწოლში ნინა წკრიალაშვილი და ზალიკო ბერგერი“**. ხომ საინტერესოა, მართლა რას აკეთებენ? მოდი და ნუ წაიკითხავ! ვკითხულობ: **„მომღერალ ნინა წკრიალაშვილი და დიზაინერი ზალიკო ბერგერი განუყრელი მეგობრები არიან, დროის უმეტეს ნაწილს ერთად ატარებენ. ერთ საწოლშიც სძინავთ და, რა თქმა უნდა, ღამე ჭორაობაშიც გაუთეთრებიათ...“ და ასე შემდეგ... ორივენი კორესპონდენტს როლაც-რაღაცებს უყვებიან...**

კი ბატონო, ძველად, საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში, ასეთ სიტუაციას „წაწლობას“ ეძახდნენ და, როგორც გამიგია, ძალზე „აკურატულად“ სრულდებოდა ეს პროცესი. ნინასთან და ზალიკოსთან სიტუაცია ნამეტანი „ახლობლურია“, წვანან ერთად, სძინავთ ერთად, ხვრინვას ერთმანეთს აბრალებენ და პირადი ცხოვრება არ გაგვაჩნიაო, ჯავრობენ...რა ჰქვია ასეთ ურთიერთობას, არ მესმის მე გლეხუჭას და, რა ვქნა?! თუ მართლა ის დრო დგას, ვისაც, როგორც უნდა, ისე იცხოვროს, ღმერთმა მოგახმაროთ ასეთი დრო, ბიძიებო! არადა, გამიგია, ზალიკო ბერგერი ნაღდი მამაკაცი და ქალების მუსუსიაო და ნინასთან ოდენ „წაწლობას“ სჯერდება?! რას გაიგებ!

კვლავ და კვლავ – იყიდება საქართველო!

ისევ გააქტიურდა ქართული მიწის უცხოელებზე მიყიდვის საკითხი საქართველოს პარლამენტში, ისევ გადაუბრუნდა ტვინი ვიღაცას და სხვებიც აიყოლია... ჰოდა, რიგში დგანან არაბები და ირანელები, ჩინელები და ინდოელები... ვაი, ჩვენს პატრონს! მშობელი მიწის გაყიდვით ნაშოვნმა ფულმა უნდა გვარჩინოს?! მაგრები ვართ!...

და ისევ მიჩქროლებს გულს ჩვენი ზაურ ბოლქვაძის უზომოდ ტკივილიანი ლექსის – „ჩემო მიწავ!“ სტრიქონები:

„შენი მკვიდრი მიწა-წყალი,
ახატია სხვათა რუკებს,
წარიტაცა ზოგმა ძალით,
ზოგს მიჰყიდეს,
ზოგს აჩუქეს...

რა, მერე? როდის აღარ წერდნენ ამ საშვილიშვილო პრობლემაზე ჩვენი კალმის ოსტატები? ჭოლა ლომთათიძეს არ დაუწერია, ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს... თუ ვის?... ვწეროთ და ვიყოთ, ესმის ვინმეს?!

ოცდამეერთე საუკუნეშიც იყიდება საქართველო!

ვილენ მარდალეიშვილი

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ ბაკურიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ ბაკურიძე (პირადი №61001005323), მის: ქ. ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ. №23;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი, 1119 27.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 22.21.10.014).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 380535.43 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, პლიუს 11 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური – 30595.08 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 18 თებერვალს, 10:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „იბერია ენერჯი“ (ს/კ 245425589), მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 18 თებერვალს, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ წყალბურთი

ორი მოგება ერთი მარცხის წილ

სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი გაისად წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. დასკვნითი ეტაპის 8 ადგილი დაბეგებულია წინა პირველობის შედეგებით, კიდევ რვა საგზურისთვის ბრძოლაში კი 20 გუნდი ჩაება. გასულ უქმეებზე თბილისმა A ჯგუფის ორთაბრძოლებს უმასპინძლა. „ოლიმპიკის“ აუზში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველო, სლოვაკეთი, პორტუგალია და შვეიცარია. ფავორიტად 2014 წლის ჩემპიონატის ფინალისტი საქართველოს ნაკრები მიიჩნეოდა, თუმცა ჩვენი წყალბურთელები (ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი, რევაზ იმნაიშვილი, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, ანდრია ბითაძე, ივან სტრუიჩი. მთავარი მწვრთნელი ივან პოპოვიჩი, მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე) სტარტზევე სლოვაკეთის საკმაოდ ძლიერ გუნდთან ერთი ბურთის სხვაობით 10:11 (1:1, 4:5, 2:2, 3:3) დამარცხდნენ. ამავე დღეს პორტუგალიამ შვეიცარიას 13:7 (1:2, 1:1, 6:2, 5:2) აჯობა. მეორე ტურში მასპინძლებმა შვეიცარიას დიდი სხვაობით მოუგეს - 21:9 (6:1, 5:3, 4:2, 6:3). ქართველებს არც სლოვაკები ჩამორჩნენ — პორტუგალიას 15:6 (4:2, 3:1, 4:0, 4:3) სძლიეს. ასპარეზობის ბოლო დღეს ორი მატჩი ასე დამთავრდა: საქართველო-პორტუგალია 21:3 (4:1, 7:1, 4:0, 6:1), სლოვაკეთი-შვეიცარია 25:6 (6:0, 7:2, 9:3, 3:1).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სლოვაკეთი	3	3	0	0	51:22	9
საქართველო	3	2	0	1	52:23	6
პორტუგალია	3	1	0	2	22:43	3
შვეიცარია	3	0	0	3	22:59	0

წლეულს 9-11 ოქტომბერს მეორე საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება და საგზურების მფლობელებიც მერე გამოვლინდებიან.

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

კვარცხლბეკისაკენ ხელით გაკაფული ბილიკები

50-მდე კადეტი მოხმალავე მონაწილეობდა მოფარიკავეთა ევროპის თასის მორიგ ეტაპში, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. პირველობისთვის საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საუდის არაბეთის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩვენებურთაგან შესანიშნავად იასპარეზეს გოგონებმა. პირადი პირველობის ნახევარფინალში სამი ქართველი და ერთი თურქი მოფარიკავე გავიდა. ოლიმპიური ჩემპიონის — ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილმა მარიამ აფციაურმა მეოთხედფინალში ლიკა ჯიჯიეიშვილი დაამარცხა — 15:14, მერე მარიამ ფხაკაძეს აჯობა 15:8 და ფინალში გავიდა, სადაც ანა აფრასიძეს დაუპირისპირდა (ამ უკანასკნელმა თურქი მელის ბეიზა სოზენი დაჯაბნა). პაექრობის მიწურულისთვის აფციაური 13:10 დაწინაურდა, მაგრამ აფრასიძემ შეძლო ჯერ წონასწორობის აღდგენა და შემდეგ შეხვედრის მოგებაც 15:14. ვერცხლის მედალი აფციაურს ერგო. მესამე ადგილები ფხაკაძემ და სოზენმა დაიკავეს.



გოგონებმა გუნდურშიც იყოჩაღეს: საქართველოს ნაკრებმა (მარიამ ფხაკაძე, ანა აფრასიძე, მარიამ აფციაური, ლიკა ჯიჯიეიშვილი) ნახევარფინალში აზერბაიჯანს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში დამაჯერებლად სძლია თურქეთის გუნდს და პირველ ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი ქუთაისელ მოფარიკავეებს ერგოთ.

ვაჟთა პირად პირველობაში ქართველთაგან მხოლოდ ოთარ გიორგაძე გამოირჩა, რომელიც აზერბაიჯანელ ივანშირ აგაკიშიევთან ერთად „ბრინჯაოს“ დასჯერდა. ფინალში საუდის არაბეთის (ტურნირი ღია იყო და სხვა კონტინენტის წარმომადგენლებსაც შეეძლოთ ასპარეზობა) წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს (ორივეს ქართველი მწვრთნელები — გელა მერკვილაძე და გელა მიქელაძე ავარჯიშებენ). ადელ ალმუტაირიმ ახმედ ალტუდინის აჯობა — 15:13. გუნდურ შეჯიბრებაშიც საუდელები ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — ფინალში საქართველოს ნაკრებს (ნიკა შენგელია, ნიკა ჭეიშვილი, ვაჟა რეჭია, ოთარ გიორგაძე) მოუგეს. ბრინჯაო აზერბაიჯანის ნაკრებს ერგო.

გამარჯვებულები და პრიზიორები ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ, საპატიო პრეზიდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა იური ოსიპოვმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, მსოფლიოს ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა გურამ კოსტავამ, ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ირინე სხირტლაძემ და ვეტერანმა მოფარიკავემ იზოლდა ესაიაშვილმა დააჯილდოვეს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნიდან — მარიამ აფციაური, ლიკა ჯიჯიეიშვილი, ქეთევან ერემეიშვილი (მწვრთნელი), მარიამ ფხაკაძე და ანა აფრასიძე.
ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნებმა“ მოგებით დაიწყეს

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები (აფციაური, თოდუა, კაჭარავა, შარიქაძე (მჭედლიძე 57), ხუციშვილი, ხმალაძე (მალაღურაძე 57), ლობჟანიძე (ბეგაძე 63), ნარიაშვილი (ჩილაჩავა 49), ჟვანია (მამუკაშვილი 49), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 49), მაისურაძე (მიქაუტაძე 17), ნემსაძე, თხილაიშვილი (ბასილაია 66), სუთიაშვილი, ბიწაძე) „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ გათამაშებაში ჩაება. „ბორჯღალოსნებმა“ პირველი მატჩი გერმანიის ეროვნულ გუნდთან გამართეს ფრანკფურტთან ახლოს ქალაქ ჰოიზენშტამში. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — მეორე წუთზე მათი პირველივე შეტევა შედეგიანი გამოდგა: ჯერემი ტეჰუიამ 35 მეტრიდან არეკნი გაიტანა — 0:3. სტუმრები 10 წუთის შემდეგ გააქტიურდნენ და ზედიზედ ორი ლელო გაუტანეს ალემანებს. პირველი ტაიმის ბოლო ექვს წუთში ქართველებმა კიდევ სამი ლელო მიითვალეს. შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა და საქართველოს ნაკრებმაც დიდი ანგარიშით — 64:8 გაიმარჯვა. მომდევნო შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ 14 თებერვალს შინ პორტუგალიასთან გამართავენ. ამ უკანასკნელმა სტარტზე შინ დიდი ანგარიშით წააგო რუმინეთთან — 10:37. ესპანეთმა საკუთარ მოედანზე რუსეთი დაამარცხა — 43:20.

‖ **ტური.** საქართველო — პორტუგალია, გერმანია — რუსეთი, რუმინეთი-ესპანეთი.

თამაზ პატარაია

◎ ძიუდო

1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ასეთი შედეგით დაასრულა 2015 წელს თავისი პირველი შეჯიბრება სოფიაში „ევროპის ღია კონტინენტურ“ ტურნირზე. ბულგარეთის დედაქალაქში ჩვენი გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა. ამის მიუხედავად, უკეთეს შედეგს ველოდით, რადგან ასპარეზობა არ იყო ძლიერი შემადგენლობის.

სოფიაში ლუხუმ ჩხვიმიანმა (60) ზედიზედ სძლია უკრაინელ დენის ბილიჩენკოს, ავსტრიელ შტეფან კუდერას, ბულგარელ დენისლავ ივანოვსა და თურქ ახმედ შაჰინ კაბას, ფინალური პაექრობა კი ფრანგ ადრიან რაიმონდთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები მინდია ლილუაშვილმა (66), ფრიდონ გიგანმა (73) და გიორგი პაპუნაშვილმა (81) მოიპოვეს. მეხუთეზე ალექსანდრე მსხალაძე (100) და ონისე ბუღაძე (+100) გავიდნენ.

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

აფრიკის ეროვნებათა თასი. ფინალი. კოტ დივუარი — მალი 0:0 (პენალტებით 9:8). **მატჩი III ადგილისთვის.** კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა — ეკვატორული გვინეა 0:0 (პენალტებით 4:2).

იტალია. „იუვენტუსი“ — „მილანი“ 3:1, „კალიარი“ — „რომა“ 1:2, „ნაპოლი“ — „უდინეზე“ 3:1, „ფიორენტინა“ — „ატალანტა“ 3:2, „ინტერი“ — „პალერმო“ 3:0.

ესპანეთი. „ატლეტიკო“ — „რეალი“ 4:0, „ბილბაო“ — „ბარსელონა“ 2:5, „ხეტაფე“ — „სევილია“ 1:1, „ესპანიოლი“ — „ვალენსია“ 1:2, „ვილიარეალი“ — „ეიბარი“ 2:0.

ინგლისი. „სიტი“ — „ჰალი“ 1:1, „ასტონ ვილა“ — „ჩელსი“ 1:2, „ვესტ ჰემი“ — „მანჩესტერი“ 1:1, „ლივერპული“ — „ევერტონი“ 0:0, „ტოტენჰემი“ — „არსენალი“ 2:1.

გერმანია. „შტუტგარტი“ — „ბაიერნი“ 0:2, „ვერდერი“ — „ლევერკუზენი 2:1, „ფრაიბურგი“ — „ბორუსია“ 0:3.

საფრანგეთი. „ლიონი“ — „პარი სენ-ჟერმენი 1:1, „გენგამი“ — „მონაკო“ 1:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

მეორე ადგილს დასჯერდა

თბილისელმა სოფიო ქვაცაბაიამ ანტალიაში (თურქეთი) გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა, სადაც ზედიზედ სძლია ოთხ მეტოქეს, მათ შორის მეოთხედფინალში მესამე ნომრად განთესილ ალიონა სოტნიკოვას (უკრაინა) — 7:5, 2:6, 6:3 და ნახევარფინალში ტურნირის მეორე ნომერ ხორვატ ივა მეკოვიჩს — 3:6, 6:4, 7:6 (წინა კვირას მასთან მარცხისთვის რევანშიც აიღო). ქართველმა ჩოგბურთელმა მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობა დათმო ტურნირის რეიტინგფავორიტ ანე შეფერთან (გერმანია) 0:6, 2:6 და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩვენები ზონაში დარჩნენ

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები (სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა, მარიამ ბოლქვაძე, კაპიტანი — მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ბუდაპეშტში დასრულებულ ფედერაციის თასის გათამაშების პირველ ევროაფრიკულ ზონაში 14 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად იბრძოდა მსოფლიოს მეორე ჯგუფის 2 საგზურისთვის. C ჯგუფში ჩვენი გუნდი სტარტზევე ფავორიტ ბელარუსებს დაუპირისპირდა და 0:3 დამარცხდა. მეორე დღეს ქართველებმა პორტუგალიას სძლიეს 2:1, მესამე ტურში ასეთივე ანგარიშით ბულგარელებს აჯობეს და პირველ ზონაში ადგილი დაიბევეს. ასპარეზობის მე-4 დღეს V-VIII ადგილების მფლობელთა გასარკვევად ჩვენები თურქებს შეხვდნენ, 1:2 დამარცხდნენ და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდნენ.

ჯგუფების პირველადგილოსნებმა მსოფლიოს მეორე ჯგუფის ორი საგზური გაითამაშეს. ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (2:0) დამთავრდა: ბელარუსებმა და სერბებმა, შესაბამისად, ბრიტანელებსა და ხორვატებს აჯობეს და გაისად ზედა ეშელონში თამაშის უფლება მოიპოვეს. პირველიდან მეორე ევროაფრიკულ ზონაში დაქვეითდნენ ლიხტენშტაინი და ავსტრია, რომლებმაც გადასასვლელი ორთაბრძოლები, შესაბამისად, პორტუგალიასა და ლატვიასთან დათმეს.

გივი გაგუა



◎ სარედაქციო ფოსტიდან

გააცოცხლეთ კანონი „რეკლამის შესახებ“!

ქ. თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას

თქვენთან არაერთხელ შეხვედრისას და ოფიციალურად გამოგზავნილ წერილებში, ჩემს მიერ დაყენებული პრობლემებიდან, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და შედარებით ადვილად მოსაგვარებელია დედაქალაქში გარე რეკლამის აუტანელი მდგომარეობა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე შედეგიანი ნაბიჯების გადადგმის ნაცვლად, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ამაზრზენია, რომ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი „დაამშვენა“ გარერეკლამებმა: „ჭამის სამინისტრო“ და „ჭამის პარლამენტი“.

გთხოვთ და გირჩევთ, გააცოცხლოთ ყველასგან მივიწყებული საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, თბილისისთვის ეს მისწრება იქნება

ანზორ ბაბუხადია,
თბილისის რიგითი გულშემატკივარი

◎ შეაჩერეთ მსოფლიო ავანტიურისტი

სააკაშვილის ორმაგი თამაში

სიტყვა „თამაში“ ერთობ რბილად ნათქვამია სააკაშვილის პოლიტიკის დასახასიათებლად. მისი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე ავანტიურისტულია, იგი ყოველთვის სიტყვით სხვას ამბობდა, საქმით კი რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. ამის დასტურად საკმარისია, გავიხსენოთ რუსეთისთვის ქვეყნის ეკონომიკის, ენერგეტიკის დაქვემდებარება, შიდა ქართლის ცხინვალის ზონის სამხრეთ ოსეთად გადანათვლა, ახალგორის — ცხინვალის რაიონად, კოდორის ხეობისა კი ზემო აფხაზეთად გამოცხადება. ნუთუ ვინმეს სჯეროდა მისი ტრაბახი რუსებზე გამარჯვების თაობაზე? განა მას თავად სჯეროდა? განა მან არ იცოდა, რომ დამარცხდებოდა? კარგად იცოდა, მაგრამ იგი, სუკის სკოლაში გაზრდილი და მისი მარჩენალი ბიძა, სუკის გენერალი ალასანია პუტინის წინააღმდეგ წავიდოდნენ? არა, არა!!!

სააკაშვილმა თავისი ავანტიურისტული პოლიტიკით ქვეყანას ტერიტორიის 20 პროცენტი დააკარგვინა და ძვირად ღირებული სამხედრო ტექნიკა მტერს „მზითვად“ გაატანა.

სააკაშვილი აგრძელებს თავის ორმაგ თამაშს. არ დაიჯეროთ, რომ მას უკრაინის ბედი ანაღვლებს. არა, იგი ცდილობს, გაამწვავოს ვითარება თავისი „მაღალი კლასის რეფორმატორების“ დახმარებით უკრაინაში და, მეორეს მხრივ, მოუწოდებს ამერიკას შეაიარაღოს უკრაინა სამხედრო ტექნიკით რუსეთთან საბრძოლველად (მიშა, ერთხელ ხომ გააბრიყვე ამერიკელები, ახლა რა სტატუსი გაქვს, ვინა ხარ, შე არამკითხევ!). შეიარაღების შემთხვევაში ომი გასცდება უკრაინის საზღვრებს, უკრაინა კი შაგრენის ტყავად იქცევა.

შეჩერდი, მსოფლიო ავანტიურისტო!!!

ლონდა მდივანი

რეკლამა
29 9-62-77; 568 82-09-84.

14 თებერვლამდე საქართველოში ცვალებადი ამინდი იქნება

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა, სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, 14 თებერვლამდე აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია თოვლჭყაპი და წვიმა, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში ასევე იწვიმებს. საქართველოს მთასა და მაღალმთაში კი, ითოვებს.

ამჟამად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმს.

სინოპტიკოსები აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის თბილისში 11-12 თებერვალს თოვლჭყაპს პროგნოზირებენ. ზოგიერთ რაიონში კი, იწვიმებს. ღამით ჰაერის ტემპერატურა ბარში -1;+4, ხოლო დღისით +3;+8 გრადუსი იქნება.

11 თებერვალს დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარია მოსალოდნელი, რომლის სიჩქარე წამში 20-25 მეტრი იქნება.

სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, 14 თებერვლის შემდეგ საქართველოში ამინდი გაუმჯობესდება და მცირედით დათბება.

დახურეს არარეგისტრირებული სახერხი საამქროები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის თანამშრომლებმა ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში ხე-ტყის გადამმუშავებელი არარეგისტრირებული სახერხი საამქროები აღმოაჩინეს.

გამოვლენილია სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეების უკანონო სარგებლობისა და უკანონო ტრანსპორტირების ფაქტებიც.

მათივე ინფორმაციით, კანონდარღვევით მოპოვებული მრგვალი მორის საერთო ოდენობა 54 კუბურ მეტრს შეადგენს. გარემოსთვის მიყენებული ზიანი 5500 ლარს აღემატება. არარეგისტრირებული სახერხი საამქროები დაილუქა. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა რაიონულ სასამართლოებში.

◎ ტესტი

ვიწყებთ ახალ ცხოვრებას?

ეს ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად ხართ მზად ცვლილებებისთვის.

1. თქვენი აზრით, ქართული ხალხური ზღაპრების გმირს ნაცარქექიას:
ა) გაუჭირდებოდა რეალურ ცხოვრებაში;
ბ) საგნებზე არასტანდარტული შეხედულებანი დაეხმარებოდა, მიეღწია მიზნისთვის.

2. როგორ გრძნობთ თავს ამ უკანასკნელ ხანებში?
ა) მშვიდად, როგორც არასოდეს;
ბ) ყველაზე ჩვეულებრივი ამბებიც კი განცდების ტალღას მიქმნის.

3. გინდათ ერთი-ორი კვირა გეცხოვრათ კუდიანი დედაბრის ქოხში?
ა) არავითარ შემთხვევაში;
ბ) რატომაც არა...

4. ტანსაცმელში თქვენ:
ა) იცავთ არჩეულ სტილს;
ბ) გიყვართ ექსპერიმენტირება.

5. ელვა და ჭექა-ქუხილი — ეს:
ა) სტიქიის საშიში გამოვლინებაა;
ბ) მომაჯადოებელი ბუნებრივი მოვლენაა.

6. ჩვენს დღეებში პოპულარული სამოქალაქო ქორწინება:
ა) თქვენთვის მიუღებელია;
ბ) ის სავსებით ნორმალურად მიგაჩნიათ.

7. როდესაც სამსახურში მიდიხართ, თქვენ:
ა) მიდიხართ ჩვეულებრივი გზით;
ბ) გიყვართ ზოგჯერ სხვა მარშრუტი აირჩიოთ.

8. თქვენი აზრით, დრაკონები:
ა) არ არსებობდნენ;
ბ) ალბათ, ოდესღაც ცხოვრობდნენ დედამიწაზე.

9. ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი მზისკენ წასული იკაროსი იყო:
ა) სულელი იმიტომ, რომ მთავარია — მყარად იდგე დედამიწაზე ორივე ფეხით;
ბ) მამაცი ექსპერიმენტატორი, რომელმაც ღმერთებს გამოწვევა გაუგზავნა.

დაიანგარიშეთ, რომელი პასუხები გაქვთ უფრო მეტი: „ა“ ასოს ქვეშ თუ „ბ“ ასოს ქვეშ — და გაეცანით შედეგებს

მეტი პასუხია „ა“-ზე. ძნელია, მივაკუთვნოთ თქვენი თავი იმ ადამიანებს, რომლებსაც ცვლილებები სწყურიათ. შეეცადეთ, შექმნათ თქვენს ცხოვრებაში მეტი ნაირფეროვნება — ეს აუცილებლად მოგიტანთ ახალ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს, აგრეთვე მოულოდნელ აღმოჩენებს.

მეტი პასუხია „ბ“-ზე. თქვენ მზად ხართ, შემოიტანოთ თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები და გახსნათ ბედისწერის ახალი ფურცელი. როგორც ჩანს, თქვენთვის ახლოა ბრძენის ნათქვამი: „სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ენიჭება. და უნდა იცხოვრო ისე, რომ იქ, ზევით გაიღიმონ და თქვან: „აბა, კიდევ სცადე!“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ძმა

ბიძინა ჯაველიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

რეზო ამაშუკელი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბიძინა ჯაველიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ძმის

ბიძინა ჯაველიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჩვენი გაზეთის მეგობარსა და ძველ ავტორს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ძმის

ბიძინა ჯაველიძის

გარდაცვალების გამო.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ყოფილი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა) და აკად ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი

მევლუდ სერგოს ძე ასლანიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გუგული მაისურაძე, ვახტანგ გიორგობიანი, ელგუჯა ყუბანეიშვილი, ზაირა მიქაძე, ზემფირა იაშვილი, ზაირა გონაშვილი იუწყებიან ინსტიტუტელი თანაჯგუფელის, უახლოესი და გულითადი მეგობრის

ოთარ ქადეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ძმას და შვილებს, უახლოეს ნათესავებს.

სამძიმარს ვუცხადებთ გივი მაჩაიძეს ერთგული და თავდადებული მეუღლის

დარეჯან (ხათუნა) სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები თემურ, ინეზა, ლია სალაყაიები ოჯახებით.

◎ ინფორმაცია

მოსკოვში სკოლის მოსწავლის გატაცებაში ეჭვმიტანილი ორი ქართველი დააკავეს

მოსკოვის კაპიტნიას რაიონში ორი ქართველი დააკავეს. ისინი ეჭვმიტანილები არიან სკოლის მოსწავლის გატაცებასა და მისი მშობლებისთვის 100 000 რუბლის გამოძალვაში.

პოლიციის ცნობით, ეჭვმიტანილები 1992 და 1994 წლებში დაბადებული ქართველები არიან. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

გატაცებულის მშობელმა პოლიციას რამდენიმე დღის წინათ მიმართა. მე-11 კლასელი მოსწავლის დედა ამბობს, რომ მისი შვილი „ტოიოტა-კამრის“ მარკის ავტომობილში უცნობმა პირებმა ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს, შემდეგ კი გატაცებულის მეგობარს დაურეკეს და გამოსასყიდი მოითხოვეს.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, გატაცებული ტყვეობის პერიოდში მანქანაში ჰყავდათ. ის გამტაცებლების დაკავებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაათავისუფლეს.

დაკავებულია ქრთამის აღებისთვის

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ბეჟან თოდუა დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგენილია, რომ 2015 წლის 7 თებერვალს ბრალდებულმა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთის შეძენაში დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, მოქალაქისგან ქრთამის სახით აიღო 3 000 აშშ დოლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 წლამდე ვადით.

◎ ჩვენი კარაბადინი

სახსრები რომ არ „იჟანგებოდეს“

ტანვარჯიში საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისთვის

ასაკთან ერთად სახსრების მოძრაობა მცირდება. მისი ნორმაში მოყვანაში, აგრეთვე მისი მოქნილობის ამაღლებასა და წარმოსადეგობის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება სახსრების სპეციალური ტანვარჯიში.

ნაკრები „სოლიანკა“

სახსრების ტანვარჯიშმა თავის თავში შეკრიბა სულ სხვადასხვა სპორტული მიმართულებებისა და მეთოდიკის ვარჯიშები. ვარჯიში იდეალში უნდა გაგრძელდეს 50 წუთი, მაგრამ, თუ ეს თავიდან მძიმეა, შეიძლება ნახევარი საათით შემოვიფარგლოთ. ვარჯიშის დროს მოქმედებს ყველა კუნთი და სახსარი — კისრის ხერხემლიდან ტერფებამდე.

ყველა ვარჯიში მიმდინარეობს შენელებული ტემპით: ნარნარი ტრიალი, მოხრა და წელში გამართვა გამეორებებით. თუ სახსრებმა მთლიანად დაკარგეს მოძრაობის უნარი, ისინი ხელით უნდა დავიზილოთ.

პროგრამაში ასევე შედის ვარჯიშები დაძაბულობის შექმნისთვის სხეულის ამა თუ იმ ნაწილში საკუთარი კუნთოვანი ძალისხმევის დახმარებით. შეიძლება უბრალოდ მოვხაროთ ხელი, შეიძლება დავძაბოთ კუნთები და მოვხაროთ, დავძლიოთ წინააღმდეგობა. ამის ხარჯზე იწრთობა იოგები, მხრებისა და იდაყვის სახსრები.

სარგებელი მთელი ორგანიზმისთვის

ტანვარჯიში არა მხოლოდ სახსრების მოძრაობას ავითარებს, არამედ ზრდის სისხლის ცირკულაციას, აიძულებს გაცვლითს პროცესებს იმოძრაონ უფრო სწრაფად, რაც დადებითად აისახება მთელი ორგანიზმის მდგომარეობაზე.



მეცადინეობა დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზეც. ტანვარჯიშში ჩართულია ვარჯიშები, რომელთა მიზანიცაა გაჭიმვა შუა ნერვისა, რომელიც გადის კისრიდან ხელისგულამდე. კისრის კუნთები სტრესულად ითვლება და, როდესაც ადამიანი მუდმივად დათრგუნულ ან გაღიზიანებულ მდგომარეობაში იმყოფება, ისინი ჩაჭედილები არიან. საკმარისია ეს კუნთები გავშალოთ — რომ თავად ადამიანი დუნდება, მშვიდდება.

ვარჯიში ყველას შეუძლია

გადაჭარბებული ვარჯიში სახსრების ტანვარჯიშში არ შეიძლება, ვინაიდან ეს მეტად რბილი სისტემაა. მაგრამ მსუბუქი დაღლილობა პირველი ვარჯიშების შემდეგ შეიგრძნება, აქ ხომ ის სახსრები ამოქმედდნენ, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში არ გამოიყენება.

საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებათა დროს აქტიურობის ბევრი სახეობა მიუღწეველია, ამიტომ სახსრების ტანვარჯიშმა შეიძლება არსებითი როლი შეასრულოს. ჯანმრთელი ადამიანებისთვის აუცილებელია რეგულარული მეცადინეობა სპორტში— და ამ შემთხვევაში სახსრების ტანვარჯიში გვევლინება, როგორც ძირითადი ვარჯიშების დამატება, როგორებიცაა აერობიკა, შეიპინგი, პილატესი. ფიტნესი გვეხმარება გავამაგროთ ძირითადი, სახსრების ტანვარჯიში კი — პატარა და ნაკლებად მოძრავი კუნთები. კვირაში ორი-სამი ვარჯიში სავსებით საკმარისია, რომ ორგანიზმი ტონუსში შევინარჩუნოთ. თუ რაიმე გაწუხებთ, მაგალითად, დამახასიათებელი ტკაცუნი ხელის ან ფეხის მოხრის დროს, უფრო ხშირად უნდა ვივარჯიშოთ — 5-6-ჯერ. წინასწარ, რასაკვირველია, კონსულტაცია უნდა გავიაროთ ექიმთან და გავიგოთ შეუძლოდ ყოფნის მიზეზიც.

საწინააღმდეგო მაჩვენებლები სახსრების ტანვარჯიშის დროს მინიმალურია: მწვავე ტკივილი ან ფეხმძიმობა. მაგრამ უმალვე მშობიარობის შემდეგ, როგორც კი ქალი მორალურად მზად იქნება ფიზიკური დატვირთვებისთვის, შეიძლება დავიწყოთ ვარჯიშები.

ვიწყებთ ვარჯიშებს!
მხრების სახსრები

1. გაშლილ ხელს, რომელიც თავისუფლადაა დაშვებული ტანის გასწვრივ, ვატრიალებთ ფრონტალურ სიბრტყეზე ჩვენს წინ. მტევანში სიმძიმისა და გასიების შეგრძნება გაჩნდება, მოჭარბებული სისხლის გამო ის წითელი გახდება. ბრუნვის სიხშირე თანდათან იზრდება. მხრების სახსრებს ვავარჯიშებთ რიგრიგობით. ხელს ვატრიალებთ ჯერ საათის ისრის მიმართულებით, შემდეგ მის საწინააღმდეგოდ.

2. ზურგი გამართულია. მხრებს ვხრით წინ ერთი-მეორის შესახვედრად, ვძაბავთ, შემდეგ მსუბუქად ვადუნებთ და კვლავ ახალი ძალისხმევით ვასრულებთ დამატებითი დაძაბულობით. ვიმეორებთ 8-10-ჯერ.

3. მხრებს ვწევთ ზევით, ვხსნით დაძაბულობას და კვლავ მაღლა ვწევთ. ერთი-მეორის მიყოლებით ვზრდით და ვადუნებთ დაძაბულობას, რაც შეიძლება დაბლა ვწევთ მხრებს. დაძაბულობას ვაძლიერებთ ამოსუნთქვით, ვადუნებთ — ჩასუნთქვის დროს.

მუხლები

1. ფეხები გადგით მხრებზე ოდნავ განზე, ტერფები ერთმანეთის პარალელურად (თითები ოდნავ მოხრილი შიგნით), ხელის მტევნები — მუხლებზე.ზურგი სწორადაა, ვიხედებით წინ, თავს დაბლა არ ვხრით. ვასრულებთ მუხლებით წრიულ მოძრაობას: — ჯერ 8-10-ჯერ შიგნით, შემდეგ — გარეთ (ხელები ეხმარება ბრუნვას). ყოველი მოძრაობის ბოლოს მუხლებს ვშლით მთლიანად.

2. ტერფები ერთადაა, ხელის მტევნები — მუხლებზე. ზურგი გამართულია, ვიხედებით წინ, თავს დაბლა არ ვხრით. მუხლებით ვხატავთ წრეს ერთი მიმართულებით, ვშლით მათ ყოველი მოძრაობის შემდეგ. ვასრულებთ ვარჯიშს საპირისპირო მიმართულებით ანალოგიურად.

3. ტერფები ერთად, ფეხები სწორადაა, ზურგი თანაბარი. ხელების ხრახნისებრი მოძრაობით ვაწვებით მუხლებს, ვცდილობთ, კიდევ უფრო მეტად გავშალოთ ისინი. ასეთ მოძრაობას ვაკეთებთ 8-10-ჯერ.ვიმზირებით წინ.

ხერხემლის კისრის განყოფილება

1. კორპუსი სწორადაა, ნიკაპი მკერდზეა დაშვებული. ნიკაპს ვასრიალებთ მკერდზე ქვევით. რიგრიგობით ვასრულებთ დაძაბულობასა და მოდუნებას. ყოველი ახალი მოდუნებით ვცდილობთ, გავაგრძელოთ მოძრაობა, თან ძალისხმევას ოდნავ ვზრდით. ასეთ მოძრაობას ვასრულებთ 8-10-ჯერ.

2. კორპუსი სწორადაა, თავს ოდნავ უკან ვწევთ (თუმცა, არ ვძაბავთ). ნიკაპს ვწევთ ზევით. შემდეგ მოძრაობას ერთი წამით ვაჩერებთ, დაძაბულობას ოდნავ ვხსნით და კვლავ ვეზიდებით ნიკაპს დაბლა. ასეთ მოძრაობას ვასრულებთ 8-10-ჯერ.

3. ზურგი სწორადაა, მხრები ვარჯიშის შესრულების დროს აბსოლუტურად უძრავადაა. თავს ვხრით მარჯვნივ (შემობრუნების გარეშე) და ვცდილობთ, ყურით მხარს შევეხოთ. შემდეგ თავს მარცხენა მხრისკენ ვხრით.

● **წრიული მოძრაობა თავით. თავი ბრუნავს ნელა და თავისუფლად, არ არის საჭირო კისრის კუნთების ზედმეტი დაძაბვა. 8-10-ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ — მეორეს.**

იდაყვის სახსრები

დადექით პირდაპირ, მხრები იატაკის პარალელურადაა, ხელები მოხრილია იდაყვებში, წინა მხრები თავისუფლადაა, ხელის მტევნები რბილ მუშტებადაა მოკუმული. ვასრულებთ ბრუნვით მოძრაობას წინა მხრებით იდაყვის სახსრების გარშემო ჯერ 8-10-ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მხრები არ მოძრაობდეს. ახლა შეასრულეთ 8-10 წრიული მოძრაობა, აბრუნეთ წინა მხრები სინქრონულად საკუთარი თავისკენ, შემდეგ — შენგან.

ტერფები

დადექით პირდაპირ, მოხარეთ ფეხი მუხლში, თეძო — იატაკის პარალელურად, ხელი აფიქსირებს თეძოს, წვივი მოდუნებულია. ვასრულებთ ბრუნვით მოძრაობას წვივით საათის ისრის მიმართულებით და საპირისპირო მხარეს 8-10-ჯერ რიგრიგობით ყოველი ფეხით.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

წლები გადის, სულელები კი არ ჭკვიანდებიან. ისინი მხოლოდ უფრო მეტად იხვეწებიან:

* * *

თუკი საქმე არჩევანზე მიდგება, კაცმა ჯვალო ჯობია ჩაიცვას თუ ვარდისფერი მაისური, ისევ ჯვალო ჯობს.

* * *

მიხოს ერთმანეთში აერია ცოლი და საყვარელი: ცოლს ტორტი და თაიგული მიართვა, საყვერელს კი მთელი ხელფასი ჩააბარა.

სამაგიეროდ ორივენი ბედნიერები იყვნენ.

* * *

მაშომ კარგად იცის, რომ თავისი ქმრის მიხოს ჯიბეების გეგმურ შემოწმებას, ხშირად დაუგეგმავი შემოსავალი მოაქვს.

* * *

მაკრინემ სამსახურში მოულოდნელად პრემია მიიღო და ახლა მთელი დღეები ზის და ფიქრობს, რა უყოს ამ უცაბედ სიმდიდრეს: იპოთეკური სესხის ნაწილი გაისტუმროს თუ მეხუთე ზომის ძუძუები დაიყენოს და მერე კრედიტი მთლიანად ვინმე „ძიას“ გადაახდევინოს?

* * *

ექიმი ავადმყოფობის ისტორიას ავსებს და ჭიჭიკიას ეკითხება:

— სვამთ?

ჭიჭიკია უმალ ფეხზე წამოდგება:

— დაასხი, ექიმო!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24